პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 30 ნოემბერი, 1947 წ. № 238 (8022). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

აგიტპუნქტი — საარჩევნო აგიტაციისა და პროპაგანდის ცენტრი — მოწინავე (1-ლი გვერდი).
მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მუშების, ოსტატების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინს (1-ლი და მე-2 გვერდი).
ხუთწლედი — ოთხ წელიწადში (მე-2 გვერდი).
რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი (მე-2 გვერდი).
მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის (მე-3 გვერდი).
ბ. ჟღენტი — „1917 წელი“ — პრემიერა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში (მე-3 გვერდი).
საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლონდონის სესიაზე (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

აგიტპუნქტი — საარჩევნო აგიტაციისა და პროპაგანდის ცენტრი

ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და ამავე დროს უაღრესად პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიაა. მასში მილიონობით მშრომელი იღებს მონაწილეობას. სწორედ ამიტომ საარჩევნო კამპანიის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მასებში, ამომრჩეველთა შორის პოლიტიკურ მუშაობაზე, საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დონეზე.

განსაკუთრებით სერიოზული ამოცანები აკისრიათ აგიტპუნქტებს, რომლებიც შექმნილი არიან საარჩევნო აგიტაციისა და პროპაგანდის გასაშლელად. აგიტპუნქტი მოწოდებულია დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიოს საარჩევნო უბანში მომუშავე აგიტატორებს, კონსულტაცია და სათანადო ახსნა-განმარტება მისცეს ამომრჩევლებს, აგიტპუნქტში უნდა მოეწყოს ლექციები, მოხსენებები, საუბრები, აგიტატორთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება. აგიტპუნქტი უნდა იყოს ნდობით აღჭურვილ პირთა დამხმარე და თანაშემწე დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაციის საქმეში. აქვე უნდა იყოს თავმოყრილი საარჩევნო ლიტერატურა, რომელიც მუშაობის პროცესში დასჭირდებათ აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს. აგიტპუნქტების, როგორც საარჩევნო აგიტაციისა და პროპაგანდის ცენტრების, მნიშვნელობას ისიც აძლიერებს, რომ ისინი შექმნილი არიან საარჩევნო უბნებთან, სადაც წყდება არჩევნების ბედი.

კარგა ხანია მუშაობას შეუდგნენ აგიტპუნქტები. მათ ამომრჩეველთა შორის გააჩაღეს საარჩევნო აგიტაცია და პროპაგანდა, აწყობენ ლექციებს, მოხსენებებს, კონსულტაციებს, ხელმძღვანელობენ და ეხმარებიან უბანში მომუშავე აგიტატორებს. მრავალი აგიტპუნქტის მუშაობა მაღალ იდეურ დონეზე დგას, ისინი კარგად ართმევენ თავს თავიანთ ამოცანებს.

კარგად მუშაობს თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანასთან არსებული აგიტპუნქტი. იგი განუწყვეტლივ სავსეა ამომრჩევლებით: აქ თავს იყრიან სტახანოველი მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, დიასახლისები. ყველა საინტერესო საკითხზე საჭირო ახსნა-განმარტებას იღებენ მორიგე კონსულტანტებისაგან, ისმენენ ლექციებსა და მოხსენებებს, საუბრებს სტალინურ კონსტიტუციაზე, ჩვენი ქვეყნის ძალისა და ძლიერების წყაროებზე, საერთაშორისო ვითარებაზე, არჩევნების ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებზე. აგიტპუნქტი ამომრჩეველთა ცოდნის, გამოცდილებისა და ინტერესთა გათვალისწინებით მუშაობას დიფერენცირებულად აწყობს, უნარიანად ეხმარება აგიტატორებს, საჭირო ახსნა-განმარტებასა და კონსულტაციას აძლევს მათ. ამიტომ არის, რომ უბანში მაღალ თეორიულ დონეზე დგას საგიტაციო-მასობრივი მუშაობა.

საარჩევნო პროპაგანდისა და აგიტაციის ნამდვილ ცენტრს წარმოადგენს ფოთის პირველი საბავშვო ბაღის შენობაში მოთავსებული აგიტპუნქტი. იგი მიმზიდველად არის მოწყობილი. ვრცელი და ნათელი დარბაზი უჭირავს, უზრუნველყოფილია საარჩევნო ლიტერატურით, ჟურნალ-გაზეთებით. დარბაზის ერთი კუთხე დათმობილი აქვს მეოთხე ხუთწლიანი გეგმისადმი მიძღვნილ გამოფენას, მეორე კუთხეში ქალაქ ფოთის ზრდისა და განახლების ამსახველი ფოტოვიტრინაა მოწყობილი, რასაც დიდი ინტერესით ათვალიერებენ აგიტპუნქტში მომსვლელნი. პუნქტში დადგმულია რადიო, ტელეფონი, იგი უზრუნველყოფილია გათბობითა და განათებით. რეგულარულად გამოდის კედლის გაზეთი. აგიტპუნქტის კონსულტანტები საჭირო ახსნა-განმარტებას აძლევენ აგიტატორებსა და ამომრჩევლებს ყველა წამოჭრილი საკითხის შესახებ. სისტემატურად ეწყობა აგიტსემინარები, ლექციები და მოხსენებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია აგიტატორების ლ. ალექსანდრიას, ქ. ლაითაძის, შ. კვერნაძის, ი. კვახაძის მუშაობა. აგიტპუნქტი მოსახლეობაშიც ხშირად აწყობს ლექციებს. მაგალითად, ამას წინათ დიასახლისებისათვის წაკითხულ იქნა ლექცია თემაზე: „სტალინური კონსტიტუცია ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა მსოფლიოში“.

ქალაქ ქუთაისში გასული არჩევნების პერიოდში 28 საგიტაციო პუნქტი იყო შექმნილი. არჩევნების ჩატარების შემდეგ ისინი კვლავ განაგრძობდნენ მუშაობას. ახლა ისინი უნარიანად იყენებენ შეძენილ გამოცდილებას და სერიოზულ საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან.

მაგრამ, ყველგან ასე როდი მუშაობენ. ზოგან ჯერ არც კი შეუქმნიათ აგიტპუნქტები, ანდა ისინი ფორმალურად არსებობენ და არავითარ მუშაობას არ ეწევიან. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ოლქის ბევრ საარჩევნო უბანთან დღემდე არ არის მოწყობილი აგიტპუნქტები. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს სოფელ ყვიბისის (ბორჯომის რაიონი) აგიტპუნქტი. იგი კონტროლს არ უწევს აგიტატორთა მუშაობას. აქ ბევრი აგიტატორი ცუდად მუშაობს. მათს საუბრებს შემთხვევითი ხასიათი აქვთ. საგიტაციო მუშაობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია ისიც, რომ ზოგიერთი აგიტატორი თვითონ ვერ ერკვევა საარჩევნო კანონში. აქედან ცხადია, თუ როგორი იქნება მათი აგიტაციის ხარისხი. აგიტპუნქტში დღემდე არც ერთ ამომრჩეველს არ მიუღია კონსულტაცია. ასევე სუსტად მუშაობს ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანასთან არსებული აგიტპუნქტი.

პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, პარტიის რაიონულ კომიტეტებს მოეთხოვებათ სასწრაფოდ გამოასწორონ აგიტპუნქტების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, საქმე ისე მოაწყონ, რომ ყოველი აგიტპუნქტის მუშაობა მაღალ იდეურ დონეზე იდგეს და იგი მართლაც წარმოადგენდეს საარჩევნო აგიტაციისა და პროპაგანდის ცენტრს. აგიტპუნქტებში სისტემატურად უნდა ეწყობოდეს ლექციები, მოხსენებები და საუბრები საარჩევნო კანონზე, სტალინურ კონსტიტუციაზე, ჩვენი ქვეყნის ძალისა და ძლიერების წყაროებზე, საბჭოთა საარჩევნო სისტემის უპირატესობაზე ბურჟუაზიული ქვეყნების საარჩევნო სისტემასთან შედარებით, საერთაშორისო ვითარების საკითხებზე.

აგიტპუნქტები მარტო ზოგადი საკითხების შესახებ ლექცია-მოხსენებების ჩატარებით როდი უნდა დაკმაყოფილდნენ. მათს თემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეჭიროს ლექციებსა და მოხსენებებს სტალინურ ხუთწლედზე, საუბრებს მოცემულ საწარმოსა თუ კოლმეურნეობის ამოცანებზე, მათს პერსპექტივებზე. პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა ამომრჩევლებს ფართოდ უნდა გააცნონ ის მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 30 წლის მანძილზე, მოუთხრონ რესპუბლიკის, რაიონის, სოფლის წარმატებებსა და პერსპექტივებზე.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობის იდეური დონე ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ უხელმძღვანელებენ პარტიული ორგანიზაციები და აგიტპუნქტები აგიტატორთა მუშაობას. აგიტპუნქტებში აგიტატორთათვის ხშირად უნდა ტარდებოდეს სემინარები, იმართებოდეს ლექცია-მოხსენებანი, ეძლეოდეთ საჭირო ახსნა-განმარტება უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ. აგიტპუნქტებში უნდა მოეწყოს აგიტატორთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება, პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი და აგიტპუნქტის გამგე ხშირად უნდა ამოწმებდნენ აგიტატორთა მუშაობას, ესწრებოდნენ მათს მეცადინეობას, შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დაუყოვნებლივ იღებდნენ ზომებს, მაღალ იდეურ დონეზე აიყვანონ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა.

აგიტპუნქტებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ყველა ფორმა და საშუალება. ამომრჩეველთათვის უნდა მოეწყოს ექსკურსიები, კოლექტიური დასწრება საინტერესო სპექტაკლებსა და კინოსურათებზე, რადიოგადაცემათა მოსმენა, კითხვა-პასუხის საღამოები, ლექციები სამეცნიერო-პოპულარულ თემებზე. განსაკუთრებით დიდი მუშაობა მოელით აგიტპუნქტებს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების შემდეგ. ისინი დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაციაში ნდობით აღჭურვილ პირთა უახლოესი დამხმარე და თანაშემწე უნდა იყვნენ.

აგიტპუნქტებში წარმოებულმა საარჩევნო აგიტაციამ და პროპაგანდამ ხელი უნდა შეუწყოს მასების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის გაძლიერებას, გააღრმავოს მშრომელთა სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი, ჩაუნერგოს მათ გრძნობა კანონიერი სიამაყისა საბჭოთა სახელმწიფოსი, სადაც მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და მშრომელები თვითონვე აშენებენ თავიანთ ბედნიერ აწმყოსა და მომავალს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1947 წლის 29 ნოემბრის ბრძანებულებით დააწესა, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი თავისუფლდება ძირითადი სამუშაოსაგან 1947 წლის 14 დეკემბრიდან 1948 წლის 14 იანვრამდე, ძირითად სამუშაო ადგილზე ხელფასის შენახვით.

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მუშების, ოსტატების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეებისაგან ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მოგმართავთ თქვენ, ჩვენო დიდო ბელადო, ჩვენო ბრძენო, საყვარელო მასწავლებელო, დაუვიწყარ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი თავისი შრომითი გმირობით ახალ-ახალ შესანიშნავ ფურცლებს სწერს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

შემოქმედებითი შრომის დიდი და კეთილშობილური პათოსით არის მოცული ყველა საბჭოთა ადამიანი, შეუდრეკელია მათი ნებისყოფა გამარჯვებისა. დაუძლეველია მათი მძლავრი შემოქმედებითი აღზნება. ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა მიუძღვის მათ შემჭიდროებულ, მონოლითურ რიგებს. მილიონობით მუშები, გლეხები, ინტელიგენცია თავდადებულად, ძალღონის დაუზოგავად შრომობენ სამშობლოს საკეთილდღეოდ, მისი ძლიერებისათვის, მისი აყვავებისა და დიდებისათვის.

ჩვენმა ქვეყანამ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიაში უმაღლესი ნახტომი გააკეთა ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ, გახდა მძლავრ სოციალისტურ, ეკონომიურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომელსაც პირველხარისხოვანი ინდუსტრია და მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მიწათმოქმედება აქვს.

საბჭოთა ხალხმა დიდ სამამულო ომში მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა, დაიცვა თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა და იხსნა კაცობრიობა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენისა და განვითარების წარმატებანი კვლავ უჩვენებენ მთელ მსოფლიოს საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების, თავისუფალი სოციალისტური შრომის უძლეველ სასიცოცხლო ძალასა და უდიდეს ისტორიულ უპირატესობას.

ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის წელს გაჩაღებულმა მძლავრმა საყოველთაო-სახალხო სოციალისტურმა შეჯიბრებამ ცხადჰყო, თუ რა გიგანტური შესაძლებლობანი გააჩნია მეურნეობის ჩვენს სოციალისტურ სისტემას.

ჩვენ ამას თვალნათლივ ვხედავთ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მაგალითზე.

მოსკოველებმა, რომლებსაც შეგნებული აქვთ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უსწრაფესი აღდგენისა და განვითარების საჭიროება, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმაც, საზეიმო პირობა მოგცეს თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ არ დაიშურებდნენ ძალებსა და შრომას ახალი ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ეს ვალდებულებანი მოსკოვის თვითეული ქარხნის, თვითეული ფაბრიკის, თვითეული საამქროს, უბნისა და ბრიგადის კოლექტივების, ყველა მუშის, ოსტატის, ინჟინრის, ტექნიკოსისა და მოსამსახურის მოქმედების საბრძოლო პროგრამა გახდა.

თქვენმა მისალმებამ მოსკოვისადმი მისი 800 წლისთავის დღეს და საბჭოთა კავშირის სახელოვანი დედაქალაქის დაჯილდოებამ ლენინის ორდენით მოსკოველთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვიეს.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ბედნიერნი ვართ გაცნობოთ, რომ ქალაქ მოსკოვის მრეწველობამ 19 ნოემბერს შეასრულა 1947 წლის სახელმწიფო გეგმა, ხოლო 24 ნოემბერს მთელმა მოსკოვის ოლქის მრეწველობამ დაამთავრა წლიური გეგმის შესრულება და 29 პროცენტით მეტი საერთო პროდუქცია გამოუშვა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

მიმდინარე წლის ოქტომბერში მოსკოვის მრეწველობამ გადააჭარბა 1940 წლის საერთო პროდუქციის საშუალო თვიურ გამოშვებას და ამრიგად მიღწეულია წარმოების ომამდელი დონე.

მიმდინარე წლის ოქტომბერში პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეთა წარმოებამ 1940 წლის საშუალო თვიურ გამოშვებასთან შედარებით შეადგინა (პროცენტობით): ქვანახშირის — 289, ტორფის (საშუალო თვიური ამოღება) —124, ელექტროენერგიისამ მოსენერგოს სისტემაში—117, თბოენერგიის — 129, შერეული გაზის—135, ბენზინის—199, ნავთბიტუმის — 7,5-ჯერ, ცემენტის — 134, მარილმჟავას — 104, ფენოლის—161, ამონიაკის გვარჯილის — 226, სპილენძის — 120, ორთქლმავლების—180, ავტომობილების—112, საშუალო და დიდი ორთქლის ქვაბების—6,6-ჯერ, ხიდის ამწევების — 153, ამწის ჯოჯონაქების — 3,9-ჯერ, ლითონმჭრელი დაზგებისა დაზგათმშენებლობის ქარხნებში — 151, ცენტრიდანული ტუმბოების — 140, სამსხმელო მანქანების — 246, საფეიქრო დაზგების —117, ძაფსახვევი მანქანების—3-ჯერ, სამკელი მანქანების—46-ჯერ, სათიბი მანქანების—135, მჭრელი და საზომი ინსტრუმენტების — 132, მაგარი შენადნობების — 250, ამწის მოტორების —108, საწევრის მოტორების — 134, ძალოვანი ტრანსფორმატორების—160, ძალოვანი კაბელის — 187, სატრანსპორტერო ლენტის—3,8-ჯერ, მაღაროს ელექტრომავალთა ელექტრომოწყობილობის — 4,2-ჯერ, ელექტრომრიცხველების — 251, შალის ქსოვილების — 106, გაზის ქურების —8,3-ჯერ, გაზის სვეტების — 15-ჯერ, რუბეროიდის — 107, პერგამენტის — 9-ჯერ, გათბობის რადიატორების—193.

1947 წლის ათი თვის განმავლობაში გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით მოსკოვის საწარმოებმა ბამბის მზა ქსოვილების გამოშვება გაადიდეს 29,5 პროცენტით, შალის ქსოვილებისა —31,3 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილებისა—43 პროცენტით, ხელოვნური აბრეშუმისა — 97 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა — 47,2 პროცენტით, წინდის ნაკეთობისა — 35,9 და ზედა ტრიკოტაჟისა—52,5 პროცენტით.

ჩვენ ყოველმხრივ ვაძლიერებდით წარმოების ტემპებს და ამავე დროს ვიბრძოდით ახალი, მაღალნაყოფიერი მანქანების, პირველხარისხოვანი დაზგებისა და სხვა მოწყობილობის და ნაკეთობათა ათვისებისათვის.

ახალ ხუთწლედში მოსკოვის საწარმოებში მოგვარებულია წარმოება და მზადდება: ახალი მარკების მაღალხარისხოვანი ლეგირებული ფოლადები, „ლ“ სერიის მძლავრი სამაგისტრალო ორთქლმავლები, დიზელები, მთლიანი ლითონის სამგზავრო ვაგონები, ტრამვაის ვაგონები, მცირელიტრაჟიანი მსუბუქი ავტომობილები „მოსკვიჩი“, ახალი სამგზავრო თვითმფრინავები, მთლიანი ლითონის ტროლეიბუსები, „ზის—154“ მრავალადგილიანი ავტობუსები, ახალი სპეციალური და აგრეგატული ლითონმჭრელი ჩარხები, საბურღავი მანქანები, დიდგაბარიტიანი საკისარები მეტალურგიული და ნავთის მრეწველობის მოწყობილობისათვის, უზუსტესი საზომი აპარატურა, 100 კილოვატზე მეტი სიმძლავრის ელექტროძრავები, საწევრის ძრავები სამკუბიანი ექსკავატორებისათვის, ახალი საყალიბო მანქანები სამსხმელო წარმოებისათვის, მანქანები საფეიქრო მრეწველობისათვის, რეფრიჟერატორული დანადგარები, მაღალი და ზემაღალი წნევის ქვაბები „ზაპოროჟსტალისა“ და სხვა მეტალურგიული საწარმოებისათვის, კინოაპარატურა, ჰანქი-მილმჭრელი ჩარხები, ცემენტ-ზარბაზნები, ავტომწეები და ბეტონსარევები მშენებლობისათვის, ავტოსაფარები და ავტოკამერები, მოტოციკლები „მოსკვა“, მაჯის და ჯიბის საათები, რადიომიმღებები და სხვა საქონელი მოსახლეობისათვის.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ყველა ეს და მრავალი სხვა მანქანები, აგრეგატები, ხელსაწყოები და ნაკეთობა — მოწინავე საბჭოთა ტექნიკური აზრის ქმნილება — შექმნილია მოსკოველი კონსტრუქტორების მიერ, დამზადებულია მოსკოველი მუშების ხელით.

მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების მუშაკები არა მარტო ითვისებენ პროდუქციის ახალ სახეებს, არამედ ენერგიულადაც სრულჰყოფენ წარმოების ტექნიკას, განუწყვეტლივ აუმჯობესებენ ტექნოლოგიურ პროცესს. საწარმოებში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ნაკეთობათა შრომატევადობის შესამცირებლად. წარმოებაში განუხრელად ვნერგავთ ნაკადურ სისტემას. მოსკოვის საწარმოებში გადაჭრით სწარმოებს საწარმოო რეზერვების გამოვლინება, „ვიწრო ადგილების“ აღმოფხვრა, პროდუქციის გამოშვების დაგეგმვა გადიდებული გრაფიკით. გადიდებული გრაფიკით მუშაობის ინიციატორმა მოსკოვის ქარხანა „კრასნი ბოგატირმა“ რეზინის ფეხსაცმლის სადღეღამისო გამოშვება 20 პროცენტით გაადიდა.

წარმოების ასეთი ზრდის საფუძველს, წყაროს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი აღმავლობა წარმოადგენს. გასულ წელთან შედარებით მოსკოვის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება მიმდინარე წლის ოქტომბერში 39 პროცენტით გაიზარდა და ომამდელ დონეს 32 პროცენტით გადააჭარბა.

დედაქალაქისა და ოლქის მშრომელები შეუპოვრად იბრძოდნენ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, სამეურნეო ანგარიშის ფართოდ დანერგვისათვის, ნედლეულის, მასალის, ელექტროენერგიის, სათბობის მკაცრი მომჭირნეობისათვის. მიმდინარე წელს პროდუქციის თვითღირებულება 1946 წელთან შედარებით 5,3 პროცენტით არის შემცირებული.

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მუშებს, ოსტატებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ახალმა აღმავლობამ. ეს აღმავლობა შრომისადმი საბჭოთა ადამიანების ნამდვილი სოციალისტური დამოკიდებულების მაჩვენებელია. მასში მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ჩვენი დიადი სამშობლოს მოქალაქეების, მგზნებარე პატრიოტების ახალმა სულიერმა სახემ, რომლებიც მთელ ძალებს კომუნიზმის აშენებას ახმარებენ.

წლიური გეგმის ვადამდე, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის შეჯიბრებაში ჩაბმულია ფართო მასები. მოსკოვის საწარმოთა ყველა მუშაკების დაახლოებით 90 პროცენტმა ვალდებულება იკისრა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულოს გეგმა. შეჯიბრების მონაწილეთა რიგები ივსება და იზრდება.

სოციალისტური შეჯიბრება სტახანოვური შრომის ახალი ფორმებითა და მეთოდებით გამდიდრდა.

მუშების გაზრდილი სოციალისტური შეგნება მკაფიოდ გამოიხატა იმით, რომ ბევრი მათგანი იღებს ინდივიდუალურ ვალდებულებას — ვადამდე შეასრულოს წლიური საწარმოო დავალება და მთლიანად ხუთწლედის დავალებანი.

საბჭოთა პატრიოტების ამ ახალმა მოძრაობამ უკვე მოიტანა და ყოველდღე მოაქვს შესანიშნავი ნაყოფი. წელს 40 ათასზე მეტმა სტახანოველმა შეასრულა ორ-ორი წლიური ნორმა, შვიდი ათასამდე სტახანოველმა სამ-სამი წლიური ნორმა შეასრულა.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ომისშემდგომი ხუთწლედის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში მოსკოვის მრეწველობაში გაიზარდა ახალი სახელოვანი პლეადა წარმოების ნიჭიერი ნოვატორებისა, რომელთა პატრიოტულ თაოსნობასა და გამოცდილებას გამოეხმაურნენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში.

მოსკოვის ქვანახშირის აუზის წარჩინებული მნგრეველი ლეონტი ბორისკინი ფართოდ ცნობილია ჩვენს ქვეყანაში როგორც შტრეკების გათხრის მაღალნაყოფიერი მრავალსანგრევიანი მეთოდის ინიციატორი.

ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ მეფოლადის ალექსი ოვჩინიკოვის თაოსნობით მეტალურგიულ ქარხნებში გაჩაღდა მოძრაობა ფოლადის ჩქარი დნობისათვის; ქარხანა „ელექტროსტალის“ მეფოლადე ნიკოლოზ შერშავკინი ახალი მარკების ფოლადის ათვისებისათვის ბრძოლის ნიმუშებს გვიჩვენებს.

სტალინის სახელობის ავტოქარხანაში მჭედლები მიხეილ უშკალოვი და ივანე გლადკოვი ცხელი ტვიფრის აგრეგატებზე მაღალი გამომუშავებისათვის შეჯიბრების ინიციატორები გახდნენ.

სახეხავი ჩარხების ქარხნის ხარატი პავლე ბიკოვი განთქმულია მუშაობის მაღალნაყოფიერი მეთოდებით ჩარხმშენებლობაში.

მცირელიტრაჟიანი ავტომობილების ქარხნის ანა კუზნეცოვას ახალგაზრდული ბრიგადა 1950 წლის გამომუშავების საპროექტო ნორმების ვადამდე ათვისების ინიციატორად გამოვიდა.

საორთქლმავლო დეპო „უზლოვაიას“ წარჩინებული მემანქანე კონსტანტინე ზოლოტარიოვი მძიმეწონიანი შემადგენლობების სწრაფი გრაფიკით და სათბობის მნიშვნელოვანი მომჭირნეობით ტარების ინიციატორია.

ფეხსაცმლის ფაბრიკა „პარიჟსკაია კომუნის“ ბრიგადირ ვასილ მატროსოვის წინადადებით პირველად იქნა შემუშავებული და განხორციელებული შრომის სტახანოვური მეთოდების მასობრივად დანერგვის გეგმა, რომელიც უზრუნველჰყოფს ყველა მუშის აყვანას მოწინავეთა დონემდე.

ორეხოვოელმა მქსოველმა მარიამ ვოლკოვამ და მისმა მიმდევრებმა, — კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ მუშებმა ზინაიდა მენშიკოვამ და ალექსანდრა შტიროვამ საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა შორის დაიწყეს მოძრაობა ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ქარხანა „კრასნი ბოგატირის“ კლავდია ზინოვას ბრიგადამ მიაღწია მაღალნაყოფიერ მუშაობას კონვეიერზე.

გლუხოვის კომბინატის მრთველი ლიუბოვ ანანიევა გადავიდა თითისტრების ზეგეგმითს მომსახურებაზე. ანანიევას მაგალითს ჩვენი ქვეყნის ათასობით მრთველმა მიბაძა.

საათის მე-2 ქარხნის ზეინკალმა ანდრია იაკუტინმა შეიმუშავა საწარმოო დანაკარგებთან ბრძოლის სტახანოვური გეგმა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად შემდგომი მოძრაობისათვის.

დნეპროსტროის მნგრეველმა-ბრიგადირმა პავლე ანანკოვმა გაათავისუფლა ფარების მომსახურე მუშათა 25 პროცენტი და უზრუნველჰყოფს ნგრევის სამუშაოთა შესრულებას.

აგურის ჩქარ წყობაში შესანიშნავ შედეგებს მიაღწია სტახანოველმა კალატოზმა ფედოს შავლიუგინმა, რომლის მუშაობის გამოცდილება ფართოდ ვრცელდება ბევრ მშენებლობაზე.

ჩვენ მხოლოდ ცოტანი დავასახელეთ 1947 წლის პროგრამის და ომისშემდგომი მთელი ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მოწინავე მებრძოლთა რიგებიდან. პატრიოტული ზრუნვა სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მისი ძლიერების განმტკიცებისათვის, მისი სიმდიდრისა და დიდების გამრავლებისათვის ამოძრავებს ათეულ და ასეულ ათასობით საბჭოთა ადამიანების ფიქრსა და საქმეებს, წარმოადგენს მათი შემოქმედებითი ინიციატივის, წარმოების ტექნიკასა და ორგანიზაციაში გაბედული ნოვატორობის მძლავრ სტიმულს.

ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა სტახანოველ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა თანამეგობრობა. გაიზარდა ტექნოლოგთა შემოქმედებითი აქტივობა. გაიზარდა ოსტატებისა და საამქროების უფროსების, როგორც სოციალისტური წარმოების მეთაურების, შრომის უნარიანი ორგანიზატორების როლი.

ქარხანა „კალიბრის“ ოსტატმა ნიკოლოზ როსიისკიმ განახორციელა ცალკე მუშებისა და ბრიგადების სტახანოვური შრომიდან მთელი უბნის კოლექტიურ სტახანოვურ მუშაობაზე გადასვლა. უბანმა, რომელსაც ამხანაგი როსიისკი ხელმძღვანელობს, უკვე მიაღწია წარმოების იმ დონეს, რაც ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის არის დაგეგმილი. მნიშვნელოვან საწარმოო წარმატებებს მიაღწიეს ოსტატებმა: ამხანაგმა ვინოკუროვმა სტალინის სახელობის ქარხნიდან, ამხანაგმა კრუგლოვმა საკისარის პირველი სახელმწიფო ქარხნიდან, ამხანაგმა ზადოროჟენკომ ქარხანა „კრასნი პროლეტარიდან“, ამხანაგმა პროლოგოვმა ავტოსაფარების ქარხნიდან, ამხანაგმა რეპინმა მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხნიდან, ამხანაგმა მონახოვმა პოდოლსკის მექანიკური ქარხნიდან, ამხანაგმა ნეპოჩატიხმა ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნიდან, ამხანაგმა პოგოდინმა ქარხანა „ელექტროსტალიდან“, ამხანაგმა ნეჩაევმა კოლომნის კუიბიშევის სახელობის ქარხნიდან, ამხანაგმა შახოვმა მოტორმშენებელი ქარხნიდან და ბევრმა სხვამ.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

გაცნობებთ რა 1947 წლის გეგმის ვადამდე შესრულებას, ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ საბჭოთა ადამიანებს არ შეშვენით დასჯერდნენ მიღწეულს. თქვენ ჩაგვინერგეთ დაუცხრომელი ნებისყოფა წინსვლისა და ახალ-ახალი გამარჯვებისადმი. სიტყვას გაძლევთ, ამხანაგო სტალინ, რომ მოსკოველები საბჭოთა პატრიოტის ამ მოვალეობისადმი მუდამ ერთგული იქნებიან!

მოსკოვის მრეწველობის საწარმოებს უყვართ სახელოვანი ტრადიციები. ჯერ კიდევ პირველი ხუთწლედების განმავლობაში ისინი სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის თაოსნები იყვნენ. მოსკოვის კუიბიშევის სახელობის ელექტროქარხანა, ქარხნები „მოსელექტრიკი“ და „კაუჩუკი“, პირველი ხუთწლედის 2,5 წელიწადში შესრულებისათვის დაჯილდოებული არიან მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

მთელ საბჭოთა კავშირში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ლენინგრადის, დონბასის, ურალისა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრების ქარხნებთან ერთად მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნები ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

მოწინავე საწარმოების: ქარხანა „კრასნი პროლეტარის“, ორჯონიკიძის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, ქარხანა „კალიბრის“, სტუპინოს მეტალურგიული და პეროვოს ვაგონსარემონტო ქარხნების, ქარხნების „ბორეცის“, „მაშინოსტროიტელის“, № 3-ის, „მოლოტოვუგოლის“, ტრესტ „კრასნოარმეისკუგოლის“ № 20 შახტის, კრასნი ხოლმის საფეიქრო კომბინატის, ქარხნების „კარბოლიტის“, „კაუჩუკის“, ბუდიონის სახელობის, პეროვოს მანქანათმშენებელი ქარხნის, ვოროშილოვის სახელობის ქარხნის, მოსკოვის ინსტრუმენტალური ქარხნის, მაგარ შენადნობთა კომბინატის, ლენსკის საფეიქრო ფაბრიკის, 1 მაისის სახელობის კამვოლ-სართავი ფაბრიკის, პოდოლსკის საკუმულატორო ქარხნის ქარხნების „მოსკა-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მუშების, ოსვეების, ინჟინრების, ჭეშნიკოსებისა და მოსამსახურეებისაგან

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

(დასასრული)

ბელის", „სტანკოკონსტრუქციის", სტრანსფორმატორო ქარხნის, „ესკადოს ქიმიური ქარხნის, საათის მე-2 ქარხნის, კარპოვის სახელობის ქარხნის, სამეცნიერელო დაზგების დმიტროვის ქარხნის, ქარხანა „იზოლატორის", საკარბორატორო, ელექტრომექანიკური ქარხნების, ქარხანა „ტიჩიზმრიტელის", მე-2 ავტოსარემონტო ქარხნის, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ზარია სუბობოლის", ფაბრიკა „კრასნი ოტკობარის", 1905 წლის რევოლუციის ხსოვნის ვაგონსაბრამხტო ქარხანა, ქარხანა „ბუროვაია ტექნიკის", ელექტროტუმბების ქარხნის, ქარხნების „კრასნი ბლოკის", „ტანკონორმალის", № 11 სამკერვალო ფაბრიკის, ლენინის სახელობის საორთქმაელი დეპობის, „მოსკვა-სორტირო-ვოიჩნაიას", ქარხანა „კრასნი ტეტლისტის", ფაბრიკა „კრასნე სუკნო-შრეკის" და ასობით სხვა საწარმოს მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა გაითვალისწინეს და აღწონ-დასწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრეს ოთხ წელიწადში შეასრულონ ახალი ხუთწლედი. დღითი დღე მატულობს ამ საწარმოთა რიცხვი.

მოსკოვის მთელი რიგი საწარმოების მუშაკებმა იკისრეს ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ კიდევ უფრო მოკლე ვადაში—სამ და სამნახევარ წელიწადში.

ამ ვალდებულებებში თავის გამოხატულებას პოულობს მოსკოველთა მხურვალე სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, მათი ნებისყოფა შრომისადმი, მათი მზადყოფნა—ძალღონე არ დაიშურონ ჩვენი დიდი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

ახლა, როცა ჩვენ მივაღწიეთ ომამდელ დონეს, 1948 წელი მოსკოვის მრეწველობისათვის უნდა გახდეს მისი შემდგომი განვითარების წელიწადი. ჩვენ პირობას ვაძლევთ, ამხანაგო სტალინ, 1948 წელს დიდი ნაბიჯი გადავდგათ ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანის — წარმოების ომამდელი დონის ნაზუნველოვანი ოდენობით გადაკვრებებს — გადაწყვეტაში და ახალი სტალინური ხუთწლედის მესამე წელს გამოვუშვათ მოცულობით მეტი პროდუქცია, ვიდრე 1940 წელს.

ჩვენ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში წინ წამოეწოთ ის საწარმოები, რომლებიც ჯერ კიდევ ჩამორჩენად წარმოების მიღწეულ საერთო დონეს.

სოციალისტური შეჯიბრების საყოველთაო ხასიათი შრომის ნაყოფიერების ომამდელის უმნიშვნელოვანეს ბერკეტს წარმოადგენს.

მოსკოვის საწარმოების მუშაკები არ სჯერდებიან მიღწეულს და ვალდებულებას კისრულობენ, რომ დაწერეგენ ახალ ტექნიკას, გაიუჯარიზებენ ტექნოლოგიურ პროცესებს, განახორციელებენ შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციას, წარმოებას გადაიყვანენ საკადრო სისტემაზე, კიდევ უფრო გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას, შეამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას, გადაჭარბებით შეასრულებენ დაგროვებათა გეგმას და გაიუჯარიზებენ პროდუქციის ხარისხს.

ახალმა ხუთწლიანმა გეგმამ საბჭოთა ხალხს დაუსახა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა — უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი ამაღლება. მოსკოვის მრეწველობის მუშაკები მომავალშიც იშრომებენ, რათა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები აღჭურვონ უახლესი და სრულყოფილი ტექნიკით.

მოსკოვის მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპი გვისახავს როგორც ყველაზე გადადებულ ამოცანას — კიდევ უფრო განვავითაროთ ენერგეტიკული ბაზა. ჩვენ ბულშოდგინეგ ვიმუშავებთ ახალ ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ასამუშავებლად, მოემეტენ ელექტროსადგურების ყველ მაჩვენებლის გასაუჯარიზებლად, დაეიცავთ ელექტროენერგიის უმკაცრეს ეკონომიას.

მოსკოვის რკინიგზის კვანძი უდიდესია ჩვენს ქვეყანაში. მის მწყობრ და გამართულ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი მრეწველობის წარმატება. ჩვენ პირობას ვდებთ უზრუნველვყოთ ტვირთის დროული ბიმოზიდვა, ავამაღლოთ მგზავრთა მომსახურების კულტურა, მნიშვნელოვნად გავაუჯარიზოთ მოსკოვის რკინიგზის კვანძის მთელი მუშაობა.

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მივაღწიოთ საფიქრო და მსუბუქი მრეწველობის მტკიცე ფიქალებს. ქსოვილია, ტრიკოტაჟის, ფეხსაცმელსა და ტანსაცმლის გამოშვების ზრდა ბევრადაა დამოკიდებული ბამბის, მატყლისა და ტყავეული ნედლეულის წარმოების გადიდებაზე.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბამბის მთესველები, მეცხოველეები და სოფლის მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშაკები, რომლებიც ნედლეულით უზრუნველჰყოფენ მრეწველობას, დაგვეხმარებიან ამაში.

მოსკოვი და მოსკოვის ოლქი მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი ცენტრია.

მეცნიერნი, კონსტრუქტორები და გამომგონებელნი პირობას ვაძლევენ, ოსკუბ ბესარიონის-ძეს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა უახლოეს ხანში გადაეპრიბონ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ხელი შეუწყონ შემდგომი ტექნიკური პროგრესის საქმეს.

მოსკოვი საბჭოთა კავშირის მშობლიური მეურნეობის კიდრების სამშეფოა. 258 უმაღლეს სასწავლებელსა და ტექნიკუმში სწავლობს 206 ათასზე მეტი სტუდენტი. პროფესორნი და მასწავლებლები ყველა საჭირო ღონისძიებას იხმარენ, რათა გაამაჯობესონ ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების მუშაობა, ამამღლონ სპეციალისტთა მომზადების ხარისხი.

მრეწველობის ომამდელისთან ერთად გასწიერელად უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

საანგარიშო წელის განმავლობაში მოსკოვის მრეწველობის მუშების ხელფასი 22,7 პროცენტით გადიდდა.

მატულობს ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ადგილობრივი და კოოპერაციულმა მრეწველობამ 1947 წლის ათ თვეში, 1946 წელთან შედარებით, 34,2 პროცენტით გაადიდა ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება.

კულტურული საბჭოთა ეკანრობის შემდგომი გაფაართოებისათვის 1947 წელს მოსკოვში და მოსკოვის ოლქში ეაიხსნა 2.608 მაღაზია და ფარდული.

მოსკოვის ოლქის კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების და დამმხარე მეურნეობების მუშაკთა თავდადებული შრომის და სოფლისადმი ქალაქის აქტიური დახმარების მეოხებით 1947 წელს გადაჭარბებულ იქნა მარცვლეული კულტურების, კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლის ომამდელი დონე. მოსკოვში კარტოფილისა და ბოსტნეულის შემოზიდვის სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული. კარტოფილი შემოზიდულია 31 პროცენტით მეტი, ვიდრე 1946 წელს. გარდა ამისა, მოსკოვისა და ვოსკოვის ოლქის სამრეწველო ცენტრებია მშრომელებმა ინდივიდუალურ ბოსტნებში მოიწიეს მეტი კარტოფილი და ბოსტნეული, ვიდრე შარშან.

ჩვენ ყოველნაირად შევეწყობთ ხელს მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას და 1948 წელს სახელმწიფო გეგმის გადამტკიცებით მივიქმნ მას სულ ცოტა 25 მილიონი მანეთის სათადარიგო ნაწილებს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საბჭოთა ხალხი თავისი თავდადებული შრომით განეწყვეტილვ განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს — დემოკრატიის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯის, — ძლიერებას.

ეგე ისესინონ ახალი ომის გამჩაღებლებმა და მათმა დამქაშებმა — მეჩარჯვენი სოციალისტებმა. ჩვენ ვერ შეგვაშინებენ ღონაცელით ომის შესახებ. ჩვენ მაგარი ნერვები გვაქვს, ჩვენი ძალებისადმი რწმენა ურყევია. ჩვენ მარტონი როდი ვართ. ჩვენთან არიან ჩვენი ერთგული მეგობრები — ახალი დემოკრატიის ქვეყნები, ჩვენთან არიან კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ჩაგრული ხალხები, ჩვენთან არის მთელი მოწინავე კაცობრობა. ჩვენ ვიცით, რომ სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალები ეზრდება და მტაცეცდა, იმპერიალისტური ბანაკის ძალები სუსტდება.

კაპიტალიზმის ხანა დასასრულს უახლოვდება, ახლა ყველა გზა კომუნიზმისაკენ მიდის.

ჩვენი საბრძოლო საყოველთაო სახალხო დეკეზია: „ლენინის ღროშთან, სტალინის ნაბიჯთან, წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!".

დიდი მითითებანი, რომლებიც თქვენ მოგვეცით თქვენს 1946 წლის 9 თებერვლის ისტორიულ სიტყვაში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის შესახებ, საბჭოთა ხალხმა მიიღო როგორც სასიცოცხლო, მშობლიური საქმე, როგორც საიმედო გზა ჩვენი ძლევამოსილი წინსვლისა კომუნიზმისაკენ.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მუდამ იყენენ და მომავალშიც იქნებიან სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის მებრძოლთა ავანგარდში.

ვიძლევით საბჭოთა პატრიოტების ფრთვენ ფიქს — მთელი ჩვენი ძალოონრ მოვაბმაროთ ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისა და ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლას.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას. გმირი საბჭოთა ხალხის ბრძოლებში ნაცად ავანგარდს!

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, ჩვენს ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენს მშობლიურ და საყვარელ მამას დიდ სტალინს!

წერილი განხილული და მოღებულია მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საწარმოების მუშათა, ოსტატთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა სარეო კრებებზე

რევოლუციის მგზნებარე ჯრიბუნი

ყოველ წელიწადს, დეკემბრის 1-ს მთელი საბჭოთა ხალხი თავის დროშებს ხრის ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი გამჩრჩენელი მოღვაწის, დიდი სტალინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის, რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის, ყველასათვის საყვარელი სერგეი მირონის-ძე კიროვის საფლავზე. ხეალ ცამეტი წელი სრულდება სერგეი მირონის-ძის ვერაგულად მოკვლის დღიდან. 8 თარიღს ჩვენი საამბოხოს ყოველი მოქალაქე დიდი გულისტკივილით აღნიშნავს.

სერგეი მირონის-ძე კიროვმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების დიდსა და კეთილშობილ საქმეს. მთელი მისი სიცოცხლე იყო მგრძელი, ეიქაკაური ბრძოლა მშობლიური ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, საყვარელი საშობლოს დიდებისათვის.

სერგეი მირონის-ძე იყო ლენინურ-სტალინური ტიპის სახელმწიფო მოღვაწე. ს. მ. კიროვი განსახიერებული იყო ბოლშევიკ-ლენინელთა ყველა საუკეთესო თვისებანი — მშრომელთა საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება და თავდადება, პრინციპულობა, სიმტკიცე, პირდაპირობა, ღრმა სიძულვილი ხალხის მტრებისადმი.

ადრე, ყრმობიდანვე დაეკავშირა კიროვმა თავისი ცხოვრება ბოლშევიკური პარტიის, ლენინისა და სტალინის დიად საქმეს. ვერავითარმა რეპრესიამ, გადასახლებათა და დაპატიმრებათა სუსხმა ვერ გასტეხა კიროვის ნებისყოფა, მისი მგზნებარე სული. იგი მოლიდე დარჩა მტაცე ბოლშევიკი, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საქმისათვის უსაზღვროდ ერთგული.

მდიდარი ცხოვრების გზა განვლო კიროვმა. ხანგრძლივი ორალეგალური მუშაობა, გადასახლებანი და სპასყრობილები, შეუპოვარი ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, მუშაობა ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში, უფაქრსად ბაუსუსაგები მუშაობა სამოქალაქო ომის ფრონტებზე, აზერბაიჯანის ბოლშევიკთა ხელმძღვანელობა და ბოლოს ბოლშევიკთა ლენინგრადის სახელოვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა — ასეთი იყო სერგეი მირონის-ძე კიროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა. პარტიას კიროვის სახით ჰყავდა დიდი ლენინისა და დიდი სტალინის საქმის უაღრესად ერთგული მოღვაწე, სტალინური წრთობის ხელმძღვანელი-თაგანი. ამიტომ გზავნიდა ხს პარტია მეტად ძნელ და პასუხსაგებ პოსტებზე. კიროვი ყველა ამ დავალებას თავისი ჩვეული ენერგიით ღირსეულად ასრულებდა.

„როცა იხსენებ სერგეი მირონის-ძე კიროვის ბრძოლისა და მუშაობის წლებს,—ამბობს ამხანაგი ლ. ბ. ბერია, — კვლავ თვალწინ გიდგება მისი დაუვიწყარი სახე მტაცეკ, უფრეკი ბოლშევიკ-ლენინელის, შესანშნავი ორგანიზატორის, მგზნებარე სახალხო ტრიბუნისა, რომლის პიროვნებაში შეხამებული იყო გამბრიაზი პოლიტიკური ხელმძღვანელისა და დიდი, ნამდვილი ბოლშევიკური სამეურნეო მუშაკის ნიჭი.

კიროვი სიცოცხლით სავსე იყო და ეუყვარდა სიცოცხლე, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, კომუნიზმის იდეებისა გამარჯვებისათვის".

ს. მ. კიროვს — მასების შესანიშნავ ორგანიზატორს — სამართლიანად ჰქონდა მოხვეული სახალხო ტრიბუნის სახელი. მისი მგზნებარე სიტყვები აღფრთოვანებედა და ახალ ძალებს მატებდა საბჭოთა ხალხს სოციალიზმის გაძარჯვებისათვის ბრძოლაში. თავისი გამოსვლებით კიროვი სასიკვდილო ლახვარს სცემდა და დაეხდომლად ახადგურებდა ხალხის მტრებს. ამიტომ უყვარდა ასე უსაზღვროდ საბჭოთა ხალხს კიროვი, — ამიტომვე სძულდათ იგი პარტიისა და ხალხის მოღალატეებს.

„რიგი ხალხის საზიზღარმა მტრებმა — ტროცკისტებ-ზინოვიეველმა და ბუხარინელმა გარეურებმა განიზრახეს თავის დასაყრდენად ვადაექციათ რევოლუციის აკვანი, — ლენინგრადი, პარტიამ მოუწოდა ს. მ. კიროვს—სათაგეში ჩასდგომოდა ლენინგრადელ ბოლშევიკებს და მოეწყო ხალხის მამტრების განადგურება. კიროვმა მოკლე დროში პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ მტკიცედ დარაზმა ლენინგრადელი ბოლშევიკები და სასტიკად განადგურა მოღალატენი. ს. მ. კიროვი ქარხნიდან ქარხანაში, კრებიდან კრებაზე დაეფლადად დადიოდა და რაზმავდა ლენინგრადელ ბოლშევიკებს ტროცკისტ-ზინოვიეველთა და მათ მსგავსთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, სასტიკად ამარცხებდა და ანადგურებდა სოციალიზმის საქმის მტრებს.

კიროვის ხელმძღვანელობით ლენინგრადში უდიდესი სამეურნეო მუშაობა გაჩაღდა. ამეფდა ახალი ქარხნები, კულტურისა და ხელოვნების სასახლეები, ლენინის ქალაქი კიდევ უფრო მშვენიერი და ეკეთილშობილი გახდა. ყოველ საქმეში, რაც უნდა მცირე ყოფილიყო, კიროვი აქსოვდა თავისი კეთილშობილი გულის მგზნებარებას, აქცევდა მას დიდ, საერთო-სახალხო საქმედ.

მთელ ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა ხალხს განუზომლად უყვარდა თავისი ერთგული მირონინი. სწორედ ამიტომ მოჰკლეს იგი ნაძირალებმა, ხალხის დაუძინებელმა მტრებმა.

კიროვის ვერაგულად მოკვლით მტერი ფიქრობდა შეერყია ბოლშევიკური პარტიის მთლიანობა, ჩვენი საშობლოს ძალიერება; მტერი ანკარაშო მოტყუვდა. ჩვენმა პარტიამ, მისმა სტალინურმა ხელმძღვანელობამ ულმობლად გასრესა ბალდუები და ბანდიტები.

კიროვის ხსოვნა, რევოლუციის ერთგული ჯარისკაცის, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული მებრძოლის ხსოვნა ძუდამ იცოცხლებს საბჭოთა ხალხის გულში. კიროვის სახელი სიმბოლოა საშობლოსადმი უანგარო სიყვარულისა და თავდადებისა, მისი სახელი არის მოწოდება ჩვენი დიადი საქმის ყველა და ყოველგვარი ტრენის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლისა, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლისა.

ხვალ ცამეტი წელი სრულდება ჭეიროფსი სერგეი მირონის-ძის ვერაგული მკვლელობიდან. ჩვენმა ქვეყანამ ამ ხნის განმავლობაში დიადი საქმეები განახორციელა სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე: ჩვენ აეაშენეთ სოციალიზმი; დიდი და სასტიკი ბრძოლები გადაიხადა ფაშიტს ავრესორთა წინააღმდეგ ბრძოლების ფრონტზე; ჩვენ გავანადგურეთ ვერაგი მტრები, რომელთაც ჩვენი დამონება სურდათ. ამ მსოფლიო-ისტორიული ბრძოლების დროს კიროვი მუდამ ჩვენთან იყო, მისი ნათელი სახე, ტუტები ნებისყოფა ახალი ენერგიით აფსებდა ჩვენს გულს.

კიროვი საბჭოთა ხალხისათვის არასოდეს არ მოკვდება. იგი მუდამ ჩვენთან იქნება!

ხუთწლედი—ოთხ წელიწადში

ანაღლდებენ ნაკისრ ვალდებულებებს

— კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, გავხადოთ თვითეული საამქრო სტახანოვური, შევასრულოთ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი ოთხ წელიწადში,—ასე უნდა ეუპასუხოთ ლენინგრადელთა ახალ პატრიოტულ თაოსნობას, — განაცხადა მიმართვის განსახილველად მოწვეულ კრებაზე თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. სულაძემ.

— ელექტროტექნიკურმა საამქრომ 7 ნოემბრისათვის შეასრულა წლიური გეგმა. ლენინგრადელთა მიმართვის საპასუხოდ საამქროს სახელით ვკისრულობ ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებას, — იტყოდა საამქროს უფროსი ამხ. კ. ჩუბრუკიძე.

საიარაღო საამქროს ხარატი ა. ჯულუხიძე, ზენკლები მ. სისოიანი და ი. ლუშნიკოვი კისრულობენ ხუთწლედის ბოლოსთვის 8, 9 და 10 წლის გეგმების შესრულებას.

— 1948 წელს შეასრულებ ხუთწლიან გეგმას და შეჯიბრებაში ვიწვევ სტახანოველ მეთუნეულეს ა. სიმონიანს,—ამბობს სტახანოველი ზენკალა პ. მუხიგულაშვილი.

ამხ. ა. სიმონიანმა, რომელსაც უკვე შესრულებული აქვს ხუთწლედი, მიმართ გამოეხმაურა და თავის მხრივ იკისრა 1948 წლის ბოლოსთვის დაპატიჟებული შეასრულოს კიდევ ერთი ხუთწლედი ათ გათვალისწინებული სამუშაო.

ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვანად დოუჭერა მხარი ლენინგრადელთა მიმართვას და იკისრა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულება.

ლენინგრადელთა მიმართვის განხილვის მეორე დღიდანვე ქარხანაში ფართოდ გაჩაღდა მუშაობა ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად. სადარე საამქროს მ. ტერეზოვის ბრიგადა, რომელიც წინათ ხუთ კაბინეს არემონტებდა, ახლა სამუშაო დროის მაქსიმალური შემჭიდროებით, შრომის სწორი ორგანიზაციით, სარემონტო მასალებისა და ხელსაწყო-იარაღების წინასწარ მომარაგებით ცვლაში 11 კაბინას არემონტებს.

ასევე წარმატებით ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს ხარატები ტ. ხომასურიძე და მ. ბეროშვილი, მეგდელი გ. ღუდუშაური, რომელთა ყოველდღიური გამოშვებეები 400-500 პროცენტს უდრის.

ჯყვარჩელელ მუშახვებთან

ტყვარჩელელი მუშახტეები ახალი შრომითი ენთუზიაზმით უპასუხებენ ლენინგრადელთა პატრიოტულ მიმართვას. სტალინის სახელობის შახტის 23 სტახანოველმა გადაჭარბებით შეასრულა ქვანახშირის მოპოვების წლიური გეგმა. ლენინგრადელთა მიმართვის საპასუხოდ მუშახტეები ახალ ვალდებულებებს კისრულობენ. მეგზაგელმა ა. პოლიანსკიმ, ი. ბოგატირიოვმა, თ. ველიჩკომ, სკრაბნეევმა და სხვებმა იკისრეს თავიანთი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულება.

შახტის მეექვსე უბანში, რომლის უფროსია ამხ. ნ. გეგეშვილი, ყოველდღიურად იზრდება ქვანახშირის ამოღება. ამ უბნის მუშახტეებმა 20 ნოემბრისათვის შეასრულეს 11 თვის გეგმა და იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ამოიღონ 5.500 ტონა ქვანახშირი, წინ წასწიონ სანგრეი ხახი 300 გრძივი მეტრით, ხოლო ხუთწლედი შეასრულონ ოთხ წელიწადში.

ს. შონია

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ბათუმის თამბაქოს ფაბრიკაში

ბათუმის საწარმოებში მხურვალედ გამოეხმაურნენ ლენინგრადელთა პატრიოტულ მიმართვას ახალი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ. მიმართვის განსახილველად მოწვეულ კრებებზე საწარმოთა კოლექტივები სახვეინ ღონისძიებებს მეტი წარმატებების მოპოვებისათვის. დიდი აღმავლობით ჩატარდა მიმართვის განსახილველად მოწვეული კრება ბათუმის თამბაქოს ფაბრიკაში.

— ახალი ხუთწლედის პირველი წელის გეგმა ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა 111,9 პროცენტით შეასრულა, ხოლო მიმდინარე წლისა — 21 ნოემბრისათვის განაღდებელია 105.1 პროცენტით, — განაცხადა ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ს. ნიკოლაშვილმა. — მაგრამ მიღწეული წარმატებანი რიდი საკმარისი. ჩვენ ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისა და ხუთწლიანი გეგმის 4 წელიწადში შესრულებისათვის.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. ვახრატიანმა იკისრა 160 პროცენტით, შეასრულოს ყოველდღიური ნორმა და ხუთწლედი 3 წელიწადში გაანაღდოს.

კრებამ ერთხმად დაადგინა მიმდინარე წლის გეგმა შეასრულოს სულ ცოტა 115 პროცენტით და ეზრუნველყოს ხუთწლედის ოთხ წელიწადში განაღდება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოები

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილება

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის გზათა სამინისტრომ შეაჯამეს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ოქტომბრის შედეგები, შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნეს და პროფკავშირთა საკავშირო საბჭოსა და გზათა სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა მიაკუთვნეს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილებას.

ბანყოფილების უფროსის ამხ. ი. ქარუმიძის და ნაკოლეულის სადგურის უფროსის ამხ. პრეკიძის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში რკინიგზის ტრანსპორტის მინისტრმ ამხ. ი. კაგანოვიჩ ულოცავს განყოფილების კოლექტივს საპატიო ჯილდოს მოპოვებას, მოუწოდებს მოსაწყინოდ ბრძოლას ამ ტიტულის მოპოვებისათვის ტრანსპორტის მუშაობისათვის ზამთრის სეზონზე. ეს ტიტული ბადალაა ადგილ ბრძოლის გამოსთქვამს, რომ განყოფილების კოლექტივი ლენინგრადელთა პატრიოტული მიმართვის საპასუხოდ უფრო ფართოდ გაანაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას, უნარიანად გამოიყენებს ყველა რეზერვსა და შესაძლებლობას ეფექტიანად იბრძოლოს რკინიგზის ტრანსპორტის წინაშე ახალ ხუთწლედით დასახული ამოცანების ვადამდე შესრულებისათვის.

ფიმიტროვის სახელობის ქარხანა

ელექტროენერგიის ეკონომიისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში ფიმიტროვის სახელობის ქარხნის კოლექტივი პირველ ადგილზე გამოვიდა. ქარხანას გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია.

ამ დღეებში ქარხნის კოლექტივს საზეიმო ვითარებაში გადაეცა წითელი დროშა.

ს. მ. კიროვის ხსოვნისათვის

თბილისს მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ მგზნებარე ბოლშევიკის სერგეი მირონის-ძე კიროვის ვერაგული მკვლელობის მეცამეტე წლისთავს.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტიულმა კაბინეტმა მოაწყო დიდი მოქალაქისა და საბჭოთა სამშობლოს საყვარელი შვილის ს. მ. კიროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე უხვადაა წარმოდგენილი პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, ფოტოპორტები და სხვა მასალა, რომლებიც ასახავენ დიდი სტალინის ერთგული მოწაფის სერგეი მირონის-ძე კიროვის ბრწყინვალე ცხოვრების გზას.

ს. მ. კიროვის ხსოვნისადმი მიძღვნილ დიდ ლიტერატურულ გამოფენას აწყობს აგრეთვე საქართველოს კარლ მარქსის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა.

საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტები, აგრეთვე საგაბატონო ბუნებქტები მოაწყობენ საბჭოთა სახელმწიფოსა და ბოლშევიკური პარტიის გამჩენელი მოღვაწის — ს. მ. კიროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ლექციათა ციკლს.

სტალინის სახელობის ორენბურგ-ვალეგაოსარეგმონტო ქარხანაში, კიროვის სახელობის ქარხანაში, სარეკონდენსატორო ქარხანაში, ფეხსაცმელ დაწესებულებებში ეწყობა საუბრები ს. მ. კიროვის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ.

(საქმენი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის

საარჩევნო უბანში მუშაობა გაჩაღდა

თბილისის ქალთა მე-19 საშუალო სკოლის შენობა, რომელშიც მოთავსებულია მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაისაბჭოს არჩევნების № 30 საუბნო საარჩევნო კომისია, ამომრჩეველთა თავშესაყარ ადგილად გადაიქცა. ყოველდღე მრავალი ათეული ამომრჩეველი, აგიტატორი, მოწავლე ახალგაზრდობა მოდის აქ კონსულტაციის მისაღებად, სააგიტაციო საუბრების ჩასატარებლად, საარჩევნო უბნის მოსაწყობად.

უდიდესი სიყვარულით და მონდომებით ეკიდება თვითეული მათგანი დაკისრებულ საქმეს. ეს გასაგებიცაა, რადგან წინა არჩევნების დროს სწორედ აქ, ამ შენობაში მრავალმა ასეულმა ამომრჩეველმა ჩაუშვა საარჩევნო ბიულეტენი, რითაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ხმა მისცა ჩვენი გამარჯვებების შემოქმედს, ჩვენს დიდ მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

და ახლა, როდესაც ჩვენს სამშობლოში კვლავ გაჩაღდა ადგილობრივი საბჭოების საარჩევნო კამპანია, ეს შენობაც გამოცოცხლდა. დღეა თუ ღამე, ამ ლამაზი შენობის განიერ და ნათელ დარბაზში ისმის მრავალრიცხოვან ამომრჩეველთა მხიარული ჟრიამული; წითელი დროშებით და ლოზუნგ-პლაკატებით რთავენ ოთახებს და შენობის ფასადს.

ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობს ხანდაზმული ენთუზიასტი ქალი თეკლე კვალიაშვილი, რომელიც წინა არჩევნების დროსაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იყო. გამოცდილი და საქმით დაინტერესებული ქალია თეკლე. არც ერთი საზოგადოებრივი სამუშაო, არც ერთი მასობრივ-პოლიტიკური კამპანია არ ჩატარებულა ლენინის რაიონში, რომ თეკლეს აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს. ამჯერადაც გამოიჩინა მან თავი როგორც აქტიურმა საზოგადოებრივმა მუშაკმა და ერთგულმა პატრიოტმა. მისი საარჩევნო უბანი, როგორც წინა არჩევნების დროს, ახლაც მოწინავეა მთელ რაიონში.

ლამაზად და მიმზიდველად არის გაფორმებული საუბნო საარჩევნო კომისიის სამუშაო ოთახი. უკვე ორჯერ ჩატარდა საარჩევნო კომისიის სხდომა. დამტკიცებულია საუბნო საარჩევნო კომისიის სამუშაო გეგმა. კომისიის წევრთა შორის განაწილებულია დავალებანი, კედელზე გამოკრულია კომისიის წევრთა მორიგეობის ცხრილი, მოსახლეობაში სამუშაოდ გამოყოფილ კომისიის წევრთა სია, ლოზუნგები, პლაკატები, რუკები და სხვა. მიღებულია ზომები საარჩევნო უბნის ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციისათვის. საარჩევნო უბნის აქტივი მონაწილეობს ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაში. ენერგიულად მუშაობენ საარჩევნო კომისიის წევრები ნ. ბასილაშვილი, დ. გონგაძე, გ. მენთეშაშვილი, ა. კაკაურიძე და სხვები.

საარჩევნო უბნის გარშემო შემოკრებილია დიასახლისთა აქტივი. ფრონტელის ცოლმა თ. კახიანმა და ფრონტელის დედამ თ. ზოზრაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საარჩევნო უბნის შენობის გაფორმებაში. მათ საკუთარი ხალიჩები და პალმები მოიტანეს შენობის გასალამაზებლად. ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებენ საარჩევნო უბნის საქმიანობაში დიასახლისები: ლ. კარანაძე, ე. ფურცხვანიძე, ე. გვეტაძე, ნ. ჩიქოვანი და სხვები.

ამ საარჩევნო უბანში ხმას მისცემენ თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების ორი საარჩევნო ოლქისა და ლენინის რაიონული საბჭოს არჩევნების ოთხი საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები. საქალაქო და რაიონული საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები კარგად ართმევენ თავს სამუშაოს. განსაკუთრებით გამოირჩევიან პ. ახალკაცი, დ. ხარაძე, ქ. შერაზადიშვილი.

საუბნო საარჩევნო კომისიას განზრახული აქვს ახლო ხანში ჩაატაროს დიასახლისებისა და ახალგაზრდა ამომრჩევლების შეკრება, მოაწყოს ექსკურსიები, კონცერტები, გამოსცეს კედლის გაზეთი.

ე. უბილავა

ქალაქი ქუთაისი ემზადება არჩევნებისათვის

ქუთაისის მშრომლები გულმოდგინედ ემზადებიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. დამთავრდა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნა. საარჩევნო კომისიებში შედიან ქალაქის მოწინავე ადამიანები — წარჩინებული სტახანოველები — წარმოების ნოვატორები, ინტელიგენციის, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საოლქო საარჩევნო კომისიებმა ენერგიულად გააჩაღეს მუშაობა, კარგად არის გაფორმებული საოლქო საარჩევნო კომისიების და აგიტპუნქტების შენობები. საარჩევნო კომისიების წევრების აქტივის დახმარებით აზუსტებენ ამომრჩეველთა სიებს.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში დიდ მუშაობას ეწევა წულუკიძის სახელობის საქალაქო პარტიული კაბინეტი. აქ მოეწყო არჩევნებისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოფენა. იგი დიდ დახმარებას უწევს აგიტატორებს. პარტკაბინეტში ხშირად ეწყობა ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები და ლექციები აგიტატორთა დასახმარებლად. ლექტორთა ჯგუფი სისტემატურად ატარებს ლექციებსა და მოხსენებებს ქალაქის საწარმოებში — საავტომობილო ქარხანაში, აბრეშუმის კომბინატში, მაუდისა და სამკერვალო ფაბრიკებში და სხვ.

ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკამ მოაწყო არჩევნებისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. (საქდესი).

კონსულტაცია

დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების წესი

დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას, რომელიც უზრუნველჰყოფს საბჭოთა დემოკრატიის სრულ და განუხრელად განხორციელებას არჩევნების დროს.

რა პრინციპების მიხედვით მოხდება დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება?

„არჩევნების დებულების“ სპეციალური თავი მიძღვნილია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების წესისადმი.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 154-ე მუხლის თანახმად არჩევნების დროს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება ხდება საარჩევნო ოლქების მიხედვით. კონსტიტუციის ამ მუხლის და საარჩევნო დებულების 68 მუხლის შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოებში კანდიდატთა წამოყენების უფლება ეკუთვნით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მშრომელთა საზოგადოებებს: კომუნისტურ პარტიულ ორგანიზაციებს, პროფესიულ კავშირებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდობის ორგანიზაციებსა და კულტურულ საზოგადოებებს.

სტალინური კონსტიტუცია უზრუნველჰყოფს საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაერთიანების უფლებას მშრომელთა ინტერესების შესაბამისად და ხალხის მასების ორგანიზაციული თვითმოქმედებისა და პოლიტიკური აქტივობის განვითარების მიზნით (მუხ. 139). ცხადია, რომ ყოველგვარ სხვა გაერთიანებებს, რომლებიც ისახავენ სხვა მიზნებს, ვიდრე იმას, რაც აღნიშნულია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 139-ე მუხლში, არავითარი საფუძველი არა აქვთ პრეტენზია განაცხადონ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების დროს თავის კანდიდატთა წამოყენების უფლებაზე.

არჩევნების დებულების 69-ე მუხლი ითვალისწინებს კანდიდატთა წამოყენების უფლებას, როგორც ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების ცენტრალური ორგანოების მიერ, ისე მათი რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული ორგანოების მიერ, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების მიერ საწარმოებში და დაწესებულებებში, სამხედრო მოსამსახურეთა — ჯარის ნაწილებში, გლეხების — კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეებისა—საბჭოთა მეურნეობებში.

ჩვენი საარჩევნო კანონით დაწესებულია, რომ დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია ერთსა და იმავე საბჭოში ასარჩევად კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ ოლქში. ამასთან დეპუტატები არ შეიძლება იყვნენ იმ ოლქის საოლქო საარჩევნო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები, სადაც ისინი წამოყენებული არიან დეპუტატობის კანდიდატებად.

თანახმად არჩევნების დებულებისა, არჩევნებამდე არა უგვიანეს 35 დღისა, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მშრომელთა საზოგადოება, რომელთაც წამოაყენეს საოლქო და რაიონული საბჭოების დეპუტატობის კანდიდატები, ვალდებული არიან რეგისტრაციაში გაატარონ ისინი სათანადო საარჩევნო კომისიებში, ხოლო არა უგვიანეს 20 დღისა არჩევნებამდე, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომლებმაც წამოაყენეს საქალაქო საბჭოების, ქალაქის რაიონების საბჭოების, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატები, ვალდებული არიან რეგისტრაციაში გაატარონ ისინი სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიებში.

რა დოკუმენტებს წარუდგენენ სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიებს ის საზოგადოებრივი ორგანიზაციები ან მშრომელთა საზოგადოებანი, რომელთაც წამოაყენეს დეპუტატობის კანდიდატი? საამისოდ საჭიროა კანდიდატის წამომყენებელი კრების ოქმი, ხელმოწერილი პრეზიდიუმის წევრთა მიერ, მათი მისამართების აღნიშვნით; დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი, ასაკი, საქმიანობა, პარტიულობა. გარდა ამისა, საჭიროა დეპუტატობის კანდიდატის განცხადება, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს აღნიშნულ ოლქში მისი წამომყენებელი ორგანიზაციის სახელით.

დებულების 77-ე მუხლი ავალებს სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიებს, რათა საოლქო და რაიონული საბჭოების ასარჩევი რეგისტრირებული კანდიდატის შესახებ ცნობები და კანდიდატის წამომყენებელი ორგანიზაციის სახელწოდება გამოაქვეყნოს არაუგვიანეს 30 დღისა არჩევნებამდე. ხოლო ცნობებს დეპუტატობის იმ კანდიდატების შესახებ, რომლებიც დასახელებული არიან მშრომელთა დეპუტატობის საქალაქო, რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების ასარჩევად აქვეყნებს შესაბამისი საარჩევნო კომისია არა უგვიანეს 15 დღისა არჩევნებამდე. ყველა რეგისტრირებული კანდიდატი აუცილებლად შეტანილი უნდა იქნას საარჩევნო ბიულეტენში.

ფრიად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება შესაბამისი საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენაზე და იმ რაოდენობით, რომელიც უზრუნველჰყოფს ყველა ამომრჩეველს. მშრომელთა დეპუტატობის საოლქო საბჭოს (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის), რაიონული, საქალაქო და რაიონებად დაყოფილი ქალაქის რაიონული საბჭოების არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიების, აგრეთვე სასოფლო და სადაბო საბჭოების საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან არჩევნებამდე არაუგვიანეს 10 დღისა დაუგზავნონ ყველა საუბნო საარჩევნო კომისიას საარჩევნო ბიულეტენები.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 138 მუხლთან შეფარდებით „არჩევნების დებულების“ 81-ე მუხლი უზრუნველჰყოფს კრებებზე, პრესაში და სხვა კანონიერი საშუალებებით დაუბრკოლებელი საარჩევნო აგიტაციის უფლებას დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ.

საბჭოთა საარჩევნო სისტემა არ იცნობს საარჩევნო კამპანიის ისეთ მეთოდებს, (შანტაჟი, მოტყუება, ხმების შესყიდვა, მუქარა და სხვ.), რომლებსაც მიმართავენ სხვადასხვა ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიები კაპიტალისტურ ქვეყნებში. პირიქით, ჩვენში, ყველა ის, ვინც ხელს შეუშლის არჩევნების თავისუფლად ჩატარებას, ისჯება კანონით. კაპიტალისტურ ქვეყნებში არჩევნებში წარმატების უზრუნველსაყოფად ბურჟუაზიული პოლიტიკოსები ყველას თვალწინ მიმართავენ ყოველგვარ მაქინაციასა და ბოროტმოქმედებას. ამ ქვეყნებში თვით არჩევნების მექანიზმი მანკიერია და აუცილებლად წარმოშობს მასობრივ ბოროტმოქმედებებსა და სისხლის სამართლის დანაშაულს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

კანდიდატთა წამოყენებას საარჩევნო ოლქების მიხედვით ბურჟუაზიულ ქვეყნებშიც იცნობენ. მაგრამ იქ ჯერ ერთი, ახდენენ საარჩევნო ოლქების ფალსიფიკაციას ისე როგორც ახდენენ თვით კონსტიტუციის ფალსიფიკაციას. ბურჟუაზიულ ქვეყნებში საარჩევნო ოლქებს ისეთნაირად გამოსჭრიან ხოლმე, რომ უზრუნველჰყონ უპირატესობა გაბატონებული, ექსპლოატატორული ხროვისათვის; და შემდეგ, იქ დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება უზრუნველყოფილია მხოლოდ კაპიტალისტთა ორგანიზაციებისა და საზოგადოებებისათვის, რომელთაც ყოველგვარი საშუალებანი მოეპოვებათ იმისათვის, რომ გაიყვანონ თავიანთი კანდიდატი: პრესა, რადიო, შენობები კრებებისათვის, ფინანსები. ამას მოკლებულნი არიან მშრომელები. ცხადია, რომ მათს კანდიდატებს ძლიერ მცირე საშუალებანი აქვთ იმისათვის, რომ ისინი არჩეულ იქნენ. ამის კონკრეტული მაგალითები მრავლად მოიპოვება ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სხვა ბურჟუაზიული ქვეყნების ცხოვრებიდან. არაფერს მსგავს რამეს ჩვენთან ადგილი არა აქვს. საარჩევნო კამპანიას ჩვენში თავისუფალი ხასიათი აქვს, თანხებს ამ კამპანიისათვის იღებს თვითონ მთავრობა. პრესა, რადიო და სხვა საშუალებანი, მთლიანად ამომრჩეველთა ხელშია გადაცემული. ცხადია, რომ ეს უზრუნველჰყოფს მშრომელთა კანდიდატების არჩევას.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ჩვენში ტარდება დიადი სტალინური კონსტიტუციის დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე. ჩვენი საარჩევნო სისტემა საბჭოთა ადამიანებისათვის უზრუნველჰყოფს საყოველთაო, თანასწორ და პირდაპირ საარჩევნო უფლებას ფარული კენჭისყრით. ამ დიად მონაპოვართა ფართოდ გამოყენების გრძნობით საქართველოს მშრომელები ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ისტორიულ დღეს — 1948 წლის 11 იანვარს დარაზმულად მივლენ საარჩევნო ყუთებთან, რათა ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

„1917 წელი“

პრემიერა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

ახალი შემოქმედებითი წარმატებით აღნიშნა ქართულმა საბჭოთა ხელოვნებამ დიადი სახალხო დღესასწაული — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავი. რესპუბლიკის თითქმის ყველა თეატრმა განახორციელა საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ახალი დადგმა. ქართული საბჭოთა თეატრის ასეთ საიუბილეო წარმოდგენათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მიერ შექმნილი სპექტაკლი „1917 წელი“.

პიესა „1917 წელი“ დაწერილია გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორის მ. ჭიაურელის ფილმის „დიადი განთიადის“ მიხედვით მ. ჭიაურელისა და ლ. ასათიანის მიერ. ავტორებს საგრძნობლად გადაუმუშავებიათ და გაუმდიდრებიათ ხსენებული ფილმიდან აღებული მასალა. განსაკუთრებით გაფართოებული და გაღრმავებულია პიესაში თემა ქართველი ხალხის აქტიური და თავდადებული მონაწილეობისა ოქტომბრის დიად ეპოპეაში.

მაყურებლის თვალწინ გადაშლილია ისტორიული ქრონიკის პრინციპზე აგებული ფართო მხატვრული ტილო, რომელზედაც მკვეთრი საღებავებით გამოხატულია ისტორიული ეპიზოდები და მათი სოციალური აზრის უფრო სრულყოფილად გამოსახვის მიზნით შეთხზული დრამატული სიტუაციები. ისტორიულ პიროვნებათა გვერდით პიესაში მოქმედებენ ტიპიური სახეები, რომელთა მეშვეობითაც სპექტაკლში განსახიერებას პოულობენ საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე მოქმედი სხვადასხვა სოციალური ძალები.

პიესის პირველი სურათი საქართველოში მიმდინარეობს. თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის ყოფილი იმპერიის ხელისუფლებას დაპატრონებული დროებითი მთავრობა თავგამოდებით აგრძელებს ცარიზმის იმპერიალისტურ პოლიტიკას და ხალხს პირველი მსოფლიო ომის ფრონტისაკენ მიერეკება. საქართველოში დროებით ჩამოსული პოლკოვნიკი დიდებულიძე ფრონტს უბრუნდება. მის გასაცილებლად თბილისის რკინიგზის სადგურის ბუფეტში შეკრებილან დიდებულიძის თაყვანისმცემელი ოფიცრები, წვრილფეხა პოლიტიკური ავანტიურისტები, თავადის ქალები.

დიდებულიძესთან ერთად ფრონტისაკენ მიემგზავრება ღარიბი გლეხის შვილი პავლე ლეღუშაური, რომლის უფროსი ძმა გიორგიც დიდი ხანია ფრონტზე იმყოფება. დიდებულიძე და ლეღუშაური — ორი მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლები არიან, ისინი სრულიად სხვადასხვაგვარი განწყობილებით და ინტერესებით მიემართებიან ბრძოლის ველისაკენ.

ამ დროისათვის ფრონტზე შექმნილი ვითარება უკვე აშკარად გამოხატავს დროებითი მთავრობის კრიზისის დასაწყისს. ხანგრძლივი, იძულებით თავზე მოხვეული ომით მოქანცული ჯარი განწყობილია დროებითი მთავრობის დამპყრობლური პოლიტიკის საწინააღმდეგოდ. ჯარისკაცები მშვიდობიან ცხოვრებაზე, შინ დაბრუნებაზე, თავისუფლებაზე ოცნებობენ. მათში ცხოველ გამოძახილს პოულობს ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური მოწოდება. ამაოდ ცდილობენ ფრონტზე ჩასული მესვეურები დროებითი მთავრობისა დაარწმუნონ ჯარი ომის გაგრძელების საჭიროებაში.

ჯარი აშკარად ეწინააღმდეგება მათს მოწოდებას. ბოლშევიკები უდიდეს რევოლუციურ მუშაობას ეწევიან ჯარისკაცთა შორის. ბოლშევიკურად განწყობილ ჯარის ნაწილებში პარტიულ ლიტერატურას ავრცელებს ახალგაზრდა ქალი სვეტლანა, რომელიც თითქოს მოწყალების დის მოვალეობის შესრულების განზრახვით მოევლინა ფრონტს. ბოლშევიკურ პროპაგანდისტულ მუშაობაში შემჩნეულ სვეტლანას ოფიცრები დაპატიმრებას უპირებენ. ამ ხიფათისაგან ქალს ვაჟკაცური თავდადებით იხსნის ჯარისკაცი გიორგი ლეღუშაური, რომელიც სწორედ ამ შემთხვევის წინ მოულოდნელად შეხვდა ფრონტზე ახალჩამოსულ ძმას — პავლეს. დიდი ხნის უნახავი ძმების ამ შეხვედრის ეპიზოდი სპექტაკლის ერთ-ერთ უძლიერეს სცენას წარმოადგენს. ჯარისკაცთა რევოლუციური განწყობილება შეუძლებელს ხდის იმპერიალისტური ომის გაგრძელებას. შეტევა, რომელშიც დროებითი მთავრობა თავისი არსებობის გახანგრძლივების, ძალაუფლების შენარჩუნების ერთადერთ საშუალებას ხედავდა, ჩაიშალა. ჯარისკაცები დელეგაციას გზავნიან პეტროგრადში, „პრავდის“ რედაქციაში, რათა ბოლშევიკური პარტიის ბელადებისაგან უშუალოდ მიიღონ გარკვეული პასუხი ცხოვრების მწვავედ წამოჭრილ საკითხებზე. დელეგატთა შორის არიან სვეტლანა და გიორგი, რომლებიც პირველი შეხვედრისთანავე ერთმანეთისადმი წრფელი თანაგრძნობითა და სიყვარულით გაიმსჭვალნენ.

პეტროგრადში ამ დროს მძაფრი პოლიტიკური ბრძოლაა გაჩაღებული. ემიგრაციიდან დაბრუნებული ლენინი სტალინთან ერთად სათავეში უდგას მუშათა კლასის ბრძოლას სოციალისტური რევოლუციისათვის. შეუჩერებელი სისწრაფით იზრდება მასების თანაგრძნობა და ნდობა ბოლშევიკური პარტიისადმი. დროებითი მთავრობა არბევს „პრავდის“ რედაქციას, ყოველმხრივ ცდილობს ჩაახშოს პროლეტარიატის ბრძოლა, მაგრამ უკვე აშკარაა, რომ კერენსკი-წერეთლის მთავრობის დღეები დათვლილია. ფრონტიდან ჩამოსულ ჯარისკაცთა დელეგაცია ესაუბრება ამხანაგ სტალინს. დელეგაციის შემადგენლობა მოწმე ხდება ლენინის იმ ისტორიული გამოსვლისა, როდესაც მენშევიკ ირაკლი წერეთლის განცხადებას, რომ თითქოს რუსეთში არ არსებობს ისეთი პარტია, რომელსაც შეეძლოს ხელში აიღოს ძალაუფლება და პასუხი აგოს რუსეთის მომავლისათვის, ლენინმა ურყევი რწმენით უპასუხა, რომ ასეთი ძალა არსებობს ბოლშევიკთა პარტიის სახით.

შემდეგი სურათი ასახავს პეტროგრადის პროლეტარიატის ივლისის ისტორიულ დემონსტრაციას, რომელსაც, მიუხედავად მშვიდობიანი ხასიათისა, ცეცხლი დაუშინეს დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციურმა შეიარაღებულმა ძალებმა. ამ შეტაკების დროს დაიჭრა გიორგი ლეღუშაური, რომელიც სამკურნალოდ თავის ბინაში წაიყვანა სვეტლანამ.

მთავრობა აძლიერებს რეპრესიებს ბოლშევიკთა წინააღმდეგ და აპირებს დააპატიმროს ლენინი. ბურჟუაზიული პრესა საზიზღარ ცილისწამებას ავრცელებს ლენინის წინააღმდეგ და მოითხოვს მის საჯარო გასამართლებას. ეს არის პროვოკაციული ხერხი ლენინის ხელში ჩაგდებისა, რათა შური იძიონ მასზე და პროლეტარიატს მოსტაცონ უდიდესი ბელადი და მასწავლებელი.

პარტიისა და მუშათა კლასის შენიღბული მოღალატეები დაჟინებით ურჩევენ ლენინს გამოცხადდეს სასამართლოში, მაგრამ მათს ასეთ მოღალატურ წინადადებას სასტიკ წინააღმდეგობას უწევს ამხანაგი სტალინი, რომელიც განუზომელი მზრუნველობით უფრთხილდება ლენინს, რადგან მეორე ასეთი ლენინი არ არსებობს და, მაშასადამე, არავის არა აქვს უფლება საფრთხეში ჩააგდოს ლენინის სიცოცხლე. „ვიზიტიორებთან“ ამ დიალოგში გამოხატულია დიდი სტალინის პოლემიკური სტილის მთელი ბრწყინვალება და იშვიათი სიმახვილე, მისი სტილის მომაკვდინებელი ძალა პარტიისა და ხალხის საქმის მოღალატეების მიმართ.

სტალინი პირადად ხელმძღვანელობს ლენინისათვის კონსპირაციული საცხოვრებელი ადგილის შერჩევასა და მისი უშიშროების უზრუნველყოფას. ასეთ ადგილად შერჩეულია თავის ზეინი ფინეთის პატარა სადგურ რაზლივის მახლობელ მინდორში. იქ გამგზავრების წინ ლენინი და სტალინი სვეტლანას ბინაზე მიდიან. აქვე არიან ბოლშევიკი ჯარისკაცები ერმოვი და პანასიუკი, რომლებმაც ლენინი უნდა გააპარონ პეტროგრადიდან. სვეტლანას დედას ლენინი ისე გამოეცნაურება, თითქოს იგი გიორგის გასასინჯად მოსული ექიმი იყოს. ლენინი დიდი ადამიანური გულისხმიერებით დაითანხმებს ჯიუტ მოხუც დედაკაცს, რომ ნება მისცეს სვეტლანას ცოლად გაჰყვეს გიორგის.

1917 წლის ივლისის უკანასკნელი დღეებია. ბოლშევიკების პარტიის VI ყრილობა იკრიბება არალეგალურ ვითარებაში. ლენინი ყრილობას ვერ ესწრება. მას გაფთრებით დაეძებენ დროებითი მთავრობის აგენტები. მისი ჩამოსვლა პეტროგრადში შეუძლებელია. ლენინი რაზლივიდან ხელმძღვანელობს პარტიას, მის ყრილობას თავისი უახლოესი თანამებრძოლების — დიდი სტალინისა და სვერდლოვის, მოლოტოვის, ორჯონიკიძის მეშვეობით.

პარტიის VI ყრილობის ამსახველი სურათი ამ პიესისა და სპექტაკლის ჭეშმარიტად უძლიერესი სცენაა.

ამხანაგი სტალინი წარმართავს ყრილობის მუშაობას მისთვის დამახასიათებელი ურყევი სიმტკიცით. იგი გამანადგურებელ ლახვარს სცემს ყოველი ჯურის ოპორტუნისტებსა და თვალთმაქცებს, რევოლუციის საქმის მოღალატეებს. ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგი სტალინი აყალიბებს ლენინურ-სტალინურ მოძღვრებას რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდის დამთავრებისა და შეიარაღებულ ბრძოლაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გარდუვალობის შესახებ. უდიდესი ნაციონალური სიამაყის გრძნობით ავსებს ჩვენს გულს დიდი სტალინის მიერ წარმოთქმული გენიალური შორსმჭვრეტელობის ძალით აღსავსე სიტყვები იმის შესახებ, რომ გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ სწორედ რუსეთი იქნება ის ქვეყანა, რომელიც გზას გაკაფავს სოციალიზმისაკენ, რომ უნდა უკუვაგდოთ დრომოჭმული შეხედულება, თითქოს მხოლოდ ევროპას შეუძლია გვიჩვენოს გზა.

პიესის ფინალური სურათი გვიხატავს იმ დიად ისტორიულ წუთებს, როდესაც „ავრორის“ ზარბაზნების ქუხილმა კაცობრიობას ამცნო დედამიწის მეექვსედზე ახალი, სოციალისტური ცხოვრების დასაწყისი.

ეს უკვე 25 ოქტომბრის განთიადია, ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყების დასაწყისი. ხალხის საბრძოლო აღფრთოვანებით გარემოცული ლენინი და სტალინი ჯავშნოსან მანქანაზე დგანან და წარმოსთქვამენ დიადი რევოლუციის გამარჯვების რწმენით და ბედნიერებით შთაგონებულ სიტყვებს. სცენის სიღრმიდან მანქანა მაყურებელთა დარბაზისაკენ მოიწევს. ფინალური სურათის ამ დინამიურ კომპოზიციაში განსახიერებულია გამარჯვებული რევოლუციის შეუჩერებელი და ძლევამოსილი წინსვლელობის იდეა.

ასეთი დიადი ისტორიული მოვლენების ფონზე გვიხატავს პიესა ახალი კაცობრიობის გენიალური ბელადების ლენინისა და სტალინის სახეებს, მათ ერთგულ მოწაფეებსა და თანამებრძოლებს, გვიჩვენებს ტიპიურ წარმომადგენლებს იმ უბრალო რიგითი ადამიანებისა, რომელთაც სოციალიზმის საქმისადმი თავისი თავდადებული ერთგულებითა და სწორუპოვარი გმირობით უზრუნველჰყვეს ჩვენს სამშობლოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

ძნელი არ არის იმის გათვალისწინება, თუ რამდენად რთული და საპასუხისმგებლო შემოქმედებითი ამოცანა იკისრა თეატრმა ასეთი სპექტაკლის შექმნის განზრახვით. თეატრის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს ამოცანა წარმატებით განახორციელა.

სპექტაკლის რეჟისორის (დადგმა ვ. ყუშიტაშვილისა) დიდი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ეს წარმოდგენა მხატვრული სიმართლის გრძნობით ცოცხლობს, ღრმად დამაჯერებელი და შთამაგონებელი გულწრფელობით სუნთქავს. ერთიანი, ცხოველი და მგზნებარე რიტმი, სიცოცხლისა, ბრძოლისა და შემოქმედების დაუცხრომელი ხალისით ხასიათდება მთელი სპექტაკლი. მართალია, ცალკეული დეტალები ჯერ კიდევ საჭიროებენ დახვეწას, უფრო გულმოდგინე დამუშავებას, მართალია, სპექტაკლს ემჩნევა ნაჩქარევი მუშაობის კვალიც, მაგრამ მთლიანად წარმოდგენის საერთო იდეურ-მხატვრული დონე მაღალია და უდიდეს კმაყოფილებას ჰგვრის მაყურებელს.

ამ სპექტაკლში განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი მსახიობთა კოლექტივის მაღალმა ნიჭიერებამ და შესანიშნავმა ოსტატობამ. პიესის უაღრესად მრავალრიცხოვანი პერსონაჟის შემადგენელი ყოველი სახე აქტიორების მიერ გაცოცხლებულია და ხორცშესხმული, მიუხედავად იმისა, რომ პიესა როლების უმრავლესობას მხოლოდ შტრიხებით ხატავს და ფრიად მცირე მასალას იძლევა ინდივიდუალური ადამიანური ხასიათების გადმოცემისათვის. სხვანაირად შეუძლებელიც იყო ისეთ პიესაში, სადაც მოქმედ პირთა რაოდენობა 90-ს აღწევს.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის შემოქმედებითი წარმატება, რომელიც წილად ხვდათ ლენინისა და სტალინის როლების შემსრულებლებს—პ. კობახიძეს და გ. გოძიაშვილს. პ. კობახიძემ შესძლო ლენინის დიადი სიბრძნის, ურყევი ნებისყოფისა და შეურიგებელი პრინციპულობის განსახიერებასთან ერთად გადმოეცა ის იშვიათი ადამიანური უბრალოება, სითბო, მიმზიდველობა და გულითადობა, რომელიც უკვდავი ლენინის ბუნების დამახასიათებელ თვისებებს შეადგენენ. ლენინის კეთილი ღიმილი, მისი გულითადი სიცილი, შემოხვევისა და თავდაჭერის ლენინური მანერა მსახიობმა გადმოგვცა სავსებით ინდივიდუალური არტისტული შთაგონების გზით. ასეთსავე შესანიშნავ წარმოადგენს თანამედროვე ქართული აქტიორული ხელოვნებისათვის გ. გოძიაშვილის მიერ განსახიერებული დიდი სტალინის როლი. მომხიბლავი ტაქტი და ზომიერება გამოიჩინა მსახიობმა ამ უაღრესად საპასუხისმგებლო შემოქმედებითი ამოცანის განხორციელებისას. მსახიობი მიდის არა მარტო ფოტოგრაფიული მსგავსების მიღწევის, გარეგანი პორტრეტისა და მანერების ზუსტი გადმოცემის გზით, არამედ, უმთავრესად, ჩვენი გენიალური და უსაყვარლესი ბელადის შინაგანი ბუნების დიად თვისებათა განსახიერებით, მისი დიადი გონების, ფოლადისებური ნებისყოფის, ადამიანისადმი მხურვალე სიყვარულის, მგზნებარე გულის გამოხატვას ისახავს მსახიობი თავის ძირითად მიზნად და სწორედ ამ მხრივ აღწევს იგი ფრიად თვალსაჩინო წარმატებას.

რევოლუციის საქმისადმი ერთგული რუსი ქალიშვილის შესანიშნავი სახე შექმნა ვ. ანჯაფარიძემ სვეტლანას როლში. ჩვენს თვალწინ გადაიშლა მომხიბლავი კეთილშობილებით აღსავსე მდიდარი სულიერი სამყარო ამ რიგითი ადამიანისა, რომლის ბუნებაშიც პირადი ინტიმური მისწრაფებებიც და დიდი საბრძოლო იდეალებიც თანაბარი კეთილშობილებით არის განათებული. იშვიათად მდიდარი ფანტაზიით და უტყუარი გემოვნებით ხატავს ვ. ანჯაფარიძე ამ საუცხოო სცენიურ სახეს.

სპექტაკლის პირველხარისხოვან სახეთა რიცხვს მიეკუთვნება გ. შავგულიძის მიერ მაღალნიჭიერად შესრულებული როლი ქართველი ბოლშევიკი ჯარისკაცის გიორგი ლეღუშაურისა. მსახიობმა მკაფიოდ განასახიერა ის სწრაფი იდეური ზრდა და რევოლუციური წრთობა, რომელიც ბოლშევიკური პარტიის იდეების ცხოველმყოფელი ზეგავლენით ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით განიცადეს ღარიბი ხალხის წიაღიდან გამოსულმა ათასობით და ათიათასობით რიგითმა ადამიანებმა. გ. შავგულიძე ჰქმნის სისხლხორცით სავსე, ღრმა ადამიანური გრძნობებისა და განცდების მქონე ადამიანის სახეს, რომლის ყოველი სიტყვა და ნაბიჯი მაყურებელთა შეუნელებელი თანაგრძნობით არის გარემოცული. გიორგის უმცროსი ძმის პავლეს როლს ღირსეულად ასრულებს როგორც ი. ქოქრაშვილი, ისე მისი დუბლიორი—ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი შ. ქოჩორაძე.

მაყურებლის მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდება შ. ღამბაშიძის მიერ შექმნილი სახე პოლკოვნიკ დიდებულიძისა. იგივე უნდა ითქვას ა. ჟორჟოლიანისა და ქ. კვანტალიანის შესახებაც, რომლებიც განასახიერებენ პირველი — სამხედრო ექიმის სანდროსა და მეორე—ფრანგი სოციალ-შოვინისტის ალბერ ტომას როლებს. ბოლშევიკ ჯარისკაცთა უაღრესად კოლორიტულ სახეებს გვაძლევენ კ. დაუშვილი (ერმოვი) და ა. გომელაური (პანასიუკი).

დანარჩენ მსახიობთაგან როლების მაღალმხატვრული შესრულებით გამოირჩევიან ე. ჩერქეზიშვილი (თებრო ლეღუშაური), ელ. დონაური და ს. თაყაიშვილი (სვეტლანას დედა), ტ. აბაშიძე (დიდებულიძის დედა), მ. სარაული (დრაგომიროვი), შ. ჯაფარიძე (პორუჩიკი), დ. ჩხეიძე (ავთანდილ ქარუმიძე).

სპექტაკლი გემოვნებით არის გაფორმებული ახალგაზრდა მხატვრის რ. მირზაშვილის მიერ. მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ა. კერესელიძეს.

ეს სპექტაკლი ქართული საბჭოთა თეატრის ღირსეული ძღვენია დიდი ოქტომბრის 30 წლისთავის ბრწყინვალე თარიღისადმი.

ბეს. ჟღენტი.

სამეცნიერო ექსპედიცია ქიზიყში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმმა ამასწინათ ქიზიყში გაგზავნა სამეცნიერო ექსპედიცია.

ექსპედიციის წევრებმა, ქიზიყში ერთი თვის მუშაობის შედეგად, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების სოფლებში გამოავლინეს და შეაგროვეს ორმოცდაექვსი ძველი ქართული სიგელი. ამათგან ყველა XVII-XVIII საუკუნეებისა არის. ყველაზე უძველესი 1647 წელს, თეიმურაზ პირველის მიერ არის გაცემული, ხოლო უახლოესი გიორგი XII-ის მიერ 1799 წელს. გარდა ამ ორი მეფისა, დასახელებული სიგელები გაცემულია ნაზარალიხანისა (ერეკლე I), ალექსანდრესა, თეიმურაზ მეორისა, ერეკლე მეორისა, იმამყულიხანისა (დავით II) და მამადყულიხანის (კონსტანტინე) მიერ.

დასახელებული სიგელები მრავალ მასალას იძლევიან XVII-XVIII საუკუნეების კახეთის სამეფო დინასტიის გენეალოგიის შესახებ. მათი გამოყენებით შესაძლებელია გარკვეულ იქნას საკითხები: ბოდბის საეპისკოპოსოს უფლებრივი დამოკიდებულება თავის ყმებთან და დამნაშავის გასამართლების წესი; ანაგის ომი, რომელიც 1729 წლამდე ქიზიყელებს ლეკების წინააღმდეგ ჩაუტარებიათ; მართლმსაჯულების წარმოების წესი მეფისაგან; ბატონყმური ურთიერთობა მეფესა და გლეხებს შორის; ქიზიყის სამოქალაქო მდგომარეობა სპარსეთისა და ოსმალეთის ბატონობის დროს XVIII საუკუნის პირველ მესამედში და სხვა.

ყველა ეს სიგელი საყურადღებო მასალას წარმოადგენს კახეთისა და განსაკუთრებით ქიზიყის ისტორიისათვის სახელმწიფოებრივი, სამოქალაქო, სამართლის, საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობისა და სხვათა მხრივ.

ამასთან ერთად, შეგროვილ იქნა მე-19 საუკუნის ორასზე მეტი წერილობითი საბუთი. ეს საბუთები იძლევიან უხვ მასალას ქიზიყის მე-19 საუკუნის ისტორიისათვის და ეხებიან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგს:—მიწის ყიდვა-გაყიდვას, გაყრას, გასამართლებას და სხვ.

ექსპედიციამ შეაგროვა და შეიძინა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქორწინებისა და სხვა საეკლესიო აქტები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქიზიყის სამოქალაქო სამართლისა, ეთნოგრაფიისა, ტოპონიმიკისა და საერთო ტერმინოლოგიის შესწავლისათვის.

ექსპედიციის მასალებში არის ერთი 150-გვერდიანი ხელნაწერი. მასში მოთავსებულია ლექსები ბესიკისა, ბარამ ბარათაშვილისა, ზაალ ბარათაშვილისა, მზეჭაბუკ ორბელიანისა, ანტონ კათალიკოსისა, აგრეთვე ხალხური ლექსები.

ნახულ იქნა აგრეთვე (სოფელ არბოშიკში) დავით გიორგის-ძე ალადაშვილის (იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი) მიმართ მეტად საყურადღებო პირადი წერილები: ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ლომოურის, აკაკი წერეთლისა და სხვ.

ექსპედიციას საქმიანი დახმარება აღმოუჩინეს სიღნაღის, წითელწყაროსა და ლაგოდეხის რაიონების ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

ექსპედიციის მიერ შესწავლილ იქნა აგრეთვე ქიზიყის ზოგიერთ სოფელში არსებული ეპიგრაფიული ძეგლები: სიღნაღის ციხის კედელში გამოშენებული ეკლესიისა, სოფელ ვაქირის ძველი კვირაცხოვლის ეკლესიისა, ბოდბის ძველი მონასტრისა და სოფელ ტიბაანის ხირსის მონასტრისა.

ქიზიყი არქეოლოგიურად დღემდე შეუსწავლელია. სასურველი იქნებოდა მომავალში ქართველ მეცნიერ-არქეოლოგებმა ამ მხარეს კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ.

შ. ბოზალაშვილი
შ. ბურჯანაძე

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლონდონის სესიაზე
გერმანიის საზავო ხელშეკრულების მომზადების შესახებ

ლონდონი, 27 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღევანდელ სხდომას თავმჯდომარეობდა ჯ. მარშალი. მინისტრებმა შეუდგნენ დღის წესრიგის იმ პუნქტის განხილვას, რომელშიც ნათქვამია: „გერმანიის საზავო ხელშეკრულების მომზადება. საზღვრები. პროცედურა".

ჟ. ბიდოს სიტყვა

საფრანგეთის დელეგაციის თვალსაზრისი ჩამოაყალიბა ბიდომ. მან სთქვა, რომ დასკვნები შენიშვნებს გერმანიის საზღვრების შესახებ, რამდენადაც, საფრანგეთის დელეგაციის აზრით, გერმანიის საზავო ხელშეკრულების მომზადება დაწყებულ უნდა იქნას სწორედ ამ საკითხის შესწავლით. ბიდომ აღნიშნა, რომ საფრანგეთის დელეგაცია შემდეგ დაუბრუნდება საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურის საკითხს.

შემდეგ ბიდომ სთქვა, რომ საფრანგეთის დელეგაციამ ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოსკოვის სესიაზე ჩამოაყალიბა თავისი აზრი გერმანიის მომავალი საზღვრების შესახებ. საფრანგეთის დელეგაციის აზრით, ახლა დადგა დრო მივუახლოვდეთ ამ საკითხის გადაწყვეტას.

...ხებთან დაკავშირებით, რომლებიც საყოველთაო უშიშროების უზრუნველყოფას ეხებიან.

ბიდომ სესიას ურჩია, რომ საფრანგეთ-გერმანიის საზღვრის ზოგიერთო მეორეხარისხოვანი ცვლილების შესახებ საფრანგეთის მთავრობის მიერ შეტანილი წინადადებანი განსახილველად გადაეცეს მინისტრების მოადგილეებს. მან მხარი დაუჭირა იმას, რომ უკვე დღეისათვის ყოფილიყო მიღებული გადაწყვეტილება ბელგიასთან, ჩეხოსლოვაკიასთან, ლუქსემბურგსა და ჰოლანდიასთან გერმანიის საზღვრის ცვლილების შესახებ.

ბიდომ გაიმეორა მის მიერ მინისტრების საბჭოს მოსკოვის სესიაზე უკვე გამოთქმული აზრი გერმანიის „ჭარბ დასახლებულობისა" და იმის შესახებ, რომ გერმანიის მოსახლეობის სიხშირის ასეთი გადიდება საფრანგეთის დე...

...თუ ერთიანი საერთო გერმანიის სახელმწიფოს ლიკვიდაციას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მე ძალა დამრჩენია, რომ კვლავ ვთქვა: საჭიროა მტკიცედ გადაწყვიტოთ, რომ დემოკრატიული გერმანიის ერთიანობა აუცილებელია. ამ საკითხზე გარკვეული პასუხის უქონლობა შეიძლება გაგებულ იქნეს აგრეთვე როგორც პასუხი, მაგრამ სხვა აზრით—გერმანიის სახელმწიფოს ერთიანობის უარყოფის აზრით.

ამ საკითხზე გარკვეული პასუხის უქონლობა დაეხმარება მხოლოდ გერმანელი მილიტარისტების ბანაკის გერმანელ რევანშისტებს, რომლებსაც სურდათ თავის ხელში აეღოთ გერმანიის ერთიანობის იდეა და იგი გამოეყენებინათ იმისათვის, რომ აღედგინათ ძველი აგრესიული გერმანია, რაც ჩვენ გადავწყვიტეთ არ დავუშვათ, როცა გადაწყვეტილება მივიღეთ იალტასა და პოტსდამში. ჩვენ უნდა დავეხმაროთ იმ გერმანელ დემოკრატებს, რომლებიც ერთიან სახელმწიფოში გერმანელი ხალხის გამაერთიანებელი მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის შექმნისაკენ ისწრაფვიან.

...ის საკითხებს, რომლებიც შეეხება გერმანიის საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურას, ისე თვით საზავო ხელშეკრულების ძირითადი საკითხები.

საბჭოთა დელეგაცია წინადადებას იძლევა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ პირველ რიგში განიხილოს შემდეგი ძირითადი საკითხები, რომლებიც შეეხება გერმანიის საზავო ხელშეკრულების მომზადებას: ა) საერთო გერმანული დემოკრატიული მთავრობის შექმნის შესახებ; ბ) გერმანიის საზავო ხელშეკრულების პროექტის განსახილველად საზავო კონფერენციის შესახებ; გ) საზავო ხელშეკრულების შემუშავებისათვის ძირითადი დირექტივების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, საბჭოთა დელეგაციის შემოაქვს შემდეგი წინადადება: 1) აღიარებულ იქნას, რომ არ შეიძლება გადაიდოს საერთო გერმანული დემოკრატიული მთავრობის შექმნა პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად. 2) აღინიშნოს, რომ საზავო კონფერენციაზე გერმანიის მთავრობას შესაძლებლობა მიეცემა ჩამოაყალიბოს თავისი აზრი საზავო ხელშეკრულების შესახებ. 3) სა...

ე. ბევინის სიტყვა

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ჯ. მარშალის გამოსვლა

ავსტრიის ხელშეკრულების საკითხებზე საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა სხდომა

ლონდონი, 27 ნოემბერი. (საკდესი). დღეს შესდგა ავსტრიის ხელშეკრულების საკითხებზე საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა პირველი სხდომა. მოადგილეთა მუშაობა დაიწყო ავსტრიის ხელშეკრულების 35-ე მუხლის წინადადებათა განხილვით — ავსტრიაში გერმანიის აქტივების შესახებ, კერძოდ საფრანგეთის დელეგაციის წინადადების განხილვით, რომელიც 8 ოქტომბერს იქნა წარდგენილი ვენაში ავსტრიის ხელშეკრულების საკითხთა კომისიის მუშაობის პერიოდში და რომელიც ჯერ კიდევ არ განხილულა.

სხდომის დასაწყისში მოადგილეებმა შეათანხმეს თავიანთი მუშაობის წესრიგი. მოადგილეთა შემდეგი სხდომა შესდგება ხვალ.

ირანელ ხალხს არა სურს ამერიკის მონობაში ყოფნა

თეირანი, 26 ნოემბერი. (საკდესი). თეირანის ბევრი გაზეთი გადაჭრით გამოდის იმის წინააღმდეგ, რომ ირანმა ამერიკის სესხი მიიღოს.

ყოველკვირეული გაზეთი „ნედაე აზადი" აღნიშნავს, რომ ამერიკის სესხი საფრთხეს უქმნის ირანელი ხალხის მომავალ თაობას, და სწერს, რომ ამერიკელები „ამ დახმარებას გვიწევენ" მხოლოდ თავიანთი ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ინტერესების უზრუნველსაყოფად. მათ სურთ პროცენტები, ამასთან კოლოსალური პროცენტები. მათ ესაჭიროებათ აეროდრომები, ბაზები, სტრატეგიული გზები და სამხედრო ბაზად. საერთაშორისო ბანკის სესხი საფრთხეს შეუქმნის არა მარტო ჩვენი ძვირფასი სამშობლოს ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას, არამედ იგი დამღუპველი და მოშხამული მახეილი იქნება ჩვენი მომავალი თაობისათვის, ვინაიდან ყოველ მომენტში შეუძლია წაგვართვას ცხოვრების უკანასკნელი უფლება. ირანელი ხალხი ამერიკის სესხის წინააღმდეგია და არა სურს მოექცეს დამპყრობ სახელმწიფოთა მფარველობაში".

მეორე გაზეთი „ნაჰოდა" აღნიშნავს, რომ ამერიკის სესხის ერთადერთი შედეგი ის იქნება...

ინდონეზიის მთავრობის მემორანდუმი

ჯაკარტა, 28 ნოემბერი, (საკდესი).

საფრანგეთი გერმანულ ჯარისკაცებს იყენებს ვიეტნამის წინააღმდეგ საბრძოლველად

ნიუ-იორკი, 28 ნოემბერი, (საკდესი).

საბერძნეთის მთავრობის „ნომა" ავანტიურისადმი

ათენი, 28 ნოემბერი, (საკდესი).

თეატრები

კინოებში

წერილი რედაქციისადმი

მარია ჭანაშია

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი